

K 36-127
2

000000000000
000000000000

ԱՅԲԳՇ

ՀՄՈՒ
ՀՀԽՈՎՄ

K 36.127
2



Դաս քայլուն



ՅԱՎՈՅ
ՀԱՅՈՒ

Խ 36-12-9
2

ԵՐԵՅԱՆ

«ՀԱՅԱՍՏԱՆ»
• 1968-07-03 ՀԱՅՈՒ

8C99.962.5



C (A6x)2
894.611.3-32
გ 56

7-3-3

შოთა ევგენის ძე ჭიკადუა დაიბადა 1932 წელს სოფ. კვიტოულში (ოჩამჩირის რაიონი).

იბეჭდება 1948 წლიდან. გამოვიდა მისი „სატირული პიესა“, „სიჭრელე“, „თეთრი და შავი“, „სატირა და იუმორი“, „ფულ-კარი“.

ჭიკადუას პიესები იდგმება სოხუმის სამსონ ჭანბას სახელობის თეატრის სცენაზე: „ჩვენს შორის რომელია ყრუ“, „სიკვდილ-ზე უარესი“, „ორი პროფესორი“, „ქაცის მტერი კაცია“.

სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა მისი ერთ და ორ მოქმედებიანი პიესები.



7123-

1612.

-15


ნ ა ნ ჩ უ

ბ

შვიდობით იმგზავრე,
 შვილო! აბა, შაბათს გე-
 ლოდებით!

დედა გადამეხვია და შებლზე მაკოცა. „ვოლგა“ მკვირ-
 ცხლად მოწყდა ადგილიდან. უკან ჩამოვიტოვეთ სოხუმი...
 ოჩამჩირე. ახლა მთებისკენ მივქრივართ. ჩვენი ოთხეული
 თავს ჩინებულად გრძნობს. მეგობრები ანეკდოტებსა და
 მხიარულ ამბებს ჰყვებიან, გულიანად იცინიან, ხარხარე-
 ბენ. მე არ ვერევი მათ უზრუნველ ლაპარაკში; გაფყურებ
 მოასფალტებულ გზას და ვფიქრობ: „ეჲ, გზაო, გზაო, რა
 ზიდი მნიშვნელობა გაქვს ადამიანის ცხოვრებაში!..“

...იმ დღეს პირველი ხელფასი მივიღე. ვინ იცის, მერამ-
 ანენედ გადავთვალე ტკიცინა მანეთიანები. ისე ვესიყვარუ-
 ბებოდი, თითქოს პირველად ვხედავდი. მამა სახარჯოს



მიგზავნიდა ხოლმე; იმ ფულს როგორც მინდოდა კულტურული კავდი, არ მენანებოდა, ეს კი...

სკოლა რომ დავამთავრე, ინსტიტუტში დავაპირე შეს-
ვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მაღაროში დავიწყე მუშაობა.
შრიგადირმა შემაქო: ყოჩალ, რომ მაღაროს არ შეუშინდი!
არცა ცივდები, არც ქანები გეყრება თავზე; ერთი სიტყვით,
ნამდვილი მაღაროელი ხარო. პოდა, ორი კვირის ხელფა-
სიც ავიღე — ორმოცი მანეთი, ჩემი ოფლით მონავარი
ფული.

არ ვიცოდი, რა მეყიდა.

ისე, იცოცხლე, ბევრი რამ მჭირდებოდა: პალტო, კარგი
კოსტუმი, პერანგები, ფეხსაცმელი, მაგრამ ამ ფულით ყვე-
ლაფერი ხომ არ მომიტიდოდა! გადავწყვიტე, რაც აუცილე-
ბელია, იმას ვიყიდი-მეთქი. ამ დროს გამახსენდა მამაჩემი,
დედა, ძმები, და; ვიცოდი, ისინი არ მოელოდნენ და არც
ეწყინებოდათ, საჩუქრებს თუ არ ვუყიდდი, მაგრამ მე მინ-
დოდა მესიამოვნებინა.

მივდიოდი ქუჩაში და მეგონა, ჩემისთანა მდიდარი მე-
ორე არ დააბიჯებს-მეთქი. ხან ერთ მაღაზიაში შევიდოდი,
ხან—მეორეში; ნოქრებს ფასს ვეკითხებოდი. წინდაწინ არ
ვიცოდი, რას ვიყიდდი, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო: შესა-
ნიშნავი რაღაც უნდა მეყიდა.

ტირს ჩავუარე. მამის გამოგზავნილი ფული რომ
მდებოდა ჯიბეში, უეჭველად შევიდოდი. ახლა კი ნურას
უკაცრავად!

ყველაზე დიდ მაღაზიაში შევედი. მაღაზია ხალხით იყო
გაჭედილი. ვიღაც ახალგაზრდა კაცი სარკის წინ იღვა და
მაკინტოშს იზომებდა. მეორე კი დრაფის პალტოს ატრია-



ჩემდა ხელში და მუშტრის თვალით სინჯავდა. ამოცანაზე განვითარება
რე — აბა, ჩემი ფულით პალტო რას მომივიღოდა!

— ის პერანგი რა ღირს? — ვეკითხები თეთრპირისახი-
ან, სანდომიან გამყიდველ ქალს.

— ჩვიდმეტი მანეთი.

ზამთარია, რა დროს პერანგის ყიდვაა-მეთქი, — გავი-
ფიქრე გუნებაში.

— ის წითელი ფეხსაცმელი რაღა ღირს?

— ოცდაათი მანეთი?

— აი, ის კაბა? — ვეკითხები და ვგრძნობ, რომ გამ-
ყიდველ ქალს მოთმინების ფიალა ევსება.

— კაბა ცხრამეტი მანეთი ღირს.

დედაჩემს ვუყიდი-მეთქი, გადავწყვიტე.

— თუ შეიძლება, შემიხვით! — ვუთხარი, მაგრამ სწო-
რედ ამ დროს ერთ ისეთ რაღაცას მოვკარს თვალი, რამაც
ზველაზე საყვარელი ადამიანი გამახსენა: უჯრულა შალი
დავინახე, სულ იქით, კუთხეში მიღავებულ საქონელთან
ერთად იდო, დამტვერილი, ყველასაგან მივიწყებული;
ციფრებგამოხუნებული იარღიყი ირიბად ეკერა. ფასი ვერ
გავარჩიე, მაგრამ ჩემი პირვანდელი გადაწყვეტილება სას-
წრაფოდ შევცვალე.

— მოიცათ! კაბა არ მინდა, ქალიშვილო, თუ შეიძლე-
ბა, აი ის შალი მომაწოდეთ!

ქალიშვილი გაცხარდა:

— ყმაწვილო, თქვენ გარდა აქ...

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე სწორედ ეს შალი მინდა-

— ეს შალი კი არა, პლედია, — შემისწორა ქალიშვი-
ლმა.



პლედი ზეწარივით განიერი, მტკიცე და თბილი სასუნთქმის სწორედ ისეთი, მე რომ მინდოდა, უფრო სწორად, ბებია ნანდუს რომ სჭირდებოდა. ბებია ნანდუ მთის ძირას ცხოვრობდა. იქ დიდ თოვლს დებდა და ციოდა, თბილი შალი კი არ ჰქონდა მოხუცს.

— რა ღირს?

— ფასი ზედ აწერია, — მეუბნება გამყიდველი ქალიშვილი და ირონიულად ბრიცავს ტუჩებს!

ჩვიდმეტი მანეთი! იფ, რა კარგია!

დინჯად გადავთვალე ფული. ბოლოს და ბოლოს ყველაზე საჭირო რამეს ვყიდულობ-მეთქი, — მიხაროდა გუნებაში.

— მიიღეთ, ქალიშვილო, ჩემი პირველი ხელფასის პირველი მანეთიანები. ნახვამდის!

ქალიშვილი ყველაფერს მიმიხვდა.

— ნახვამდის, ყოველ ხელფასზე შემოიარეთ ხოლმე! — მითხრა და გულკეთილად გამიღიმა.



შაბათი დღე იყო. ბებიასთან მივემგზავრებოდი. ტყვარ-ჩელიდან სოფლამდე დიდი გზა არ მქონდა გასავლელი. რაც სკოლა დაგამთავრე, ბებია ნანდუ არ მენახა. ჩემი შხრით ეს დიდი უსინდისობა იყო! სამაგიეროდ, ახლა გავახარებდი საყვარელ ბებოს, ბიძიასა და ბიცოლას. ყოველი ჩემი ჩასვლა იმათოვის დღესასწაული იყო. საყვარელ ნანდუს თბილ შალს წამოვასხამდი. ბებიას ხუთი შვილი-შვილი ვყავდით და არც ერთს არ გვაკლდა მისი სითბო და



ალერსი. ოპ, როგორ გაახარებდა ჩემი ჩატანილი შალენჯერი უფროსი შვილიშვილი ვიყავი და ხილაბანდი რა არის, ხილაბანდი არ მეჩუქებინა მოხუცისთვის. ბოლო დროს ბებია ძალიან მოტყდა: ხანმა და შრომაშ წელში მოხარა. ძალიან კეთილი კი იყო; მერე, რა ზღაპრები იცოდა! ან რა ვაშლის ხეები ედგა ბაღში! ბებია ნანდუს ბალის ყოველი ხე, მისი ეზოს ყოველი ბუჩქი და ბალახის ღერო ნაცნობი იყო ჩემთვის. იქ ავიდგი პატარამ ფეხი.

ვიყიდე ბადურა და ტკბილეულითა და პაპიროსით გავავს: ბებია დაუმუშავებელ თამბაქოს ეწეოდა ხოლმე და სულ ერთთავად ბუზღუნებდა, წამდაუწუმ მიქრებაო. მივაბიჯებდი სოფლის გზაზე და ჩემი გული თოვლიანი მთების-კენ მიიღოვოდა. სწორედ ამ მთების ძირში ცხოვრობდა ჩემი ბებია. სხვა დროს ხელცარიელი მივდიოდი, იქიდან კი დატვირთული ვბრუნდებოდი, ახლა... ახლა მეც საჩუქრები მიმქონდა.

სიარული მიჭირდა: ყოველ ფეხის ნაბიჯზე ორმოები და ღრანტეები მხვდებოდა. გუბეები სარკის ნამსხვრევები-ვით პრეცენტიალებდა. აქეთკენ მანქანები იშვიათად დადიან. ჩემს ბედზე ერთმა დანჯღრეულმა ტონანახევრიანმა სატვირთომ ჩამოიარა. შოთერმა მანქანა გამიჩერა, მომიცადა, სანამ ძარაზე ავხოხდებოდი, და მერე ისევ გააქროლა ოღროჩოლრო გზაზე. მანქანა ჯანჯღარებდა, ხან ერთ მხარეს გადაწვებოდა, ხან — მეორე მხარეს, ხრჭიალებდა და ქეციანი თხასავით თრთოდა და თხიპინებდა. მეშინოდა, საცაა დაიმტვრევა-მეთქი, მაგრამ, როგორც იქნა, შესახვევამდე მიიღვანა. კაბინაზე მივაკაკუნე. მანქანა გაჩერდა და მე შიგ ტალახში ვისკუპე. შოთერმა მანქანის საფეხურზე ჩამოაბი-

ჯა. ვიფიქრე, ალბათ გასამრჯელოს ელოდება-მეურნების რამ ფულზე ხელი ამიკრა და გზას გახედა, მერე გადაა-ფურთხა, ისევ კაბინაში ჩავდა და კარი მიიჯახუნა. კაბი-ნაში ქალი რომ არა მჯდარიყო, ალბათ ერთი ლაზათიანად შეუკურთხებდა იმ საძაგელ ოკრობოკრო გზას.

დავღუნე თავი და ბილიკს დავადექი. მანქანები მშრალ ამინდშიც ვერ ადიან აქ. გზის რჩევაში აღარ ვიყავი; ვცდი-ლობდი მხოლოდ, მღვრიე წყლით ამოვსებულ ცხენის ნა-ფეხურებში არ ჩამეკრა ფეხი. საცოდავი ჩემი ფეხსაცმე-ლები! შარგალი წინდებში ჩავიტანე, მაგრამ არც ამან მიშ-ველა: მუხლებამდე ტალახში ვიყავი ამოთხერილი. ეს არა-ფერი, — ვიმშვიდებდი თავს, — ჩავალ და ბებიას კერიაზე გავთბები-მეთქი.

უღელტეხილზე გავედი. სველი თოვლი ადგილ-ადგილ იდო, გეგონებოდა, ვიღაც დაუდევარ მკერავს მიტკლის ნა-კუწები აქა-იქ დაუყრიაო. აქედან კარგად მოჩანდა მდინა-რე ულისი. მე და ჩემი ტოლი ბიჭები ზაფხულობით ამ მდინარეში ვბანაობდით ხოლმე. სოფელიც გამოჩნდა, ბე-ბიას სახლიც გავარჩიე, გვერდით მიშენებული ფაცხაც-ლაცხის თავზე კვამლი ტრიალებდა. „ნეტავი რა აკეთებენ ახლა მოხუცები, — ვფიქრობდი გუნებაში, — ბიძია ალ-ბათ ბოსელში საქმიანობს, ბიცოლა ქათამს წვავს. ქონი ნაკვერცხლებზე იღვენთება. ნაკვერცხლები შიშინებს და შადის აღმძვრელ მოლურჯო კვამლს უშვებს. ბებია აბის-ტას ხარშავს. მეზობლის ქალებიც იქ არიან; ნაცარში წაბლს შუშავენ და თან სამხიარულო ამბებს ჰყვებიან“. დიახ, ბებიას სახლში მუდამ ასეა!

აი, მივედი კიდეც. ფრთხილად შევაღე ჭიშკარი: მინ-

ჩოდა მოულოდნელად წავდგომოდი მოხუცებს თავზე, უფრო გაუხარდებათ-მეტე, მაგრამ ბებერმა ნაგაზმა მინამ შემამჩნია და მიცნო. ჩემდა გასაკვირად, მინას მხიარულად არ შეუყეფია და არ მიუხარებია მოხუცებისთვის ჩემი მისვლა. ნაგაზი მუხლებზე გამეხახუნა და ძირს დაშვებული ბირქავჩაკრული კული გააქიცინა, მერე სამზარეულოსკენ წახანხალდა და გაუბედავად შეჩერდა ზღურბლთან, „საბრალო მინა, ნუთუ ისე დაბერდი და დაჩაჩანაცდი, რომ სიხარულისა და აღტაცების გამოხატვა აღარ შეგიძლია! ამ ნახევარი წლის წინ რომ მოვედი, ზედ მახტებოდი, სახეში მწვდებოდი, ცდილობდი, აგელოკე, ჩემს გარშემო ხტოდი, ცეკვავდი; სიხარულით შემეგებე, ახლა კი... ახლა რაღა დაგემართა?“ — გავიიჯრე გუნებაში. ძალლი ნაღვლიანი ოვალებით მიყურებდა, მაგრამ მე ახლა იმისი უგუნებობის მიზეზის გასარკვევად არ მეცალა. შევაღე ფაცხის კარი. იქაურობა ბოლით იყო გამოჭედილი და უჩვეულო უწესრიგობა სუფევდა. კერასთან შავტანსაცმლიანი ქალი ტრიალებდა. ნედლი შეშა შიშინით იწვოდა.

სახეზე ღიმილი შემაშრა.

— ჩვენები სად არიან?

ქალი წელში გასწორდა და შეშინებულმა შემომხედა.

— უიმე, ვეღარ გიცანი!.. შენ ნანდუს შვილიშვილი არა ხარ?.. საწყალი ნანდუ, როგორ გნატრულობდა!..

გავშრი. თავზე თითქოს ცივი წყალი გადამასხეს.

— რა დაემართა?

— სახლში წევს. ორივე ფილტვის ანთება აქვს... გადარჩენის იმედი...

სახლისკენ გავიქეცი. ბებიას ოთახი ხალხით იყო სავ-



სე. თამბაქოს ბოლი იდგა. საწოლთან მივედი. ბებრები ბებრები ქვეშ ბალიში აღარ ედო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები დამდგარიყო. თვალცრემ-ლიანი მის წინ მუხლებზე დავეშვი.

— რა დაგემართა, ჩემო საყვარელო ნანდუ? — გამხდარ ხელებზე ხელი მოვუთათუნე და შუბლზე ვაკოცე.

— დედი, შეხედე, შვილიშვილი მოგივიდა... ხომ ნატ-რობდი, ნეტავი მოვიდოდესო! — ჩასძახოდა ბიძაჩემი.

ბებიას გაყინული, დანაოჭებული სახე შეინძრა, ქუთუ-თოები ნელ-ნელა გაეხსნა. მომაჩირდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყურა. მისი თვალების სიღრმეში ცნობიერების ნიშანწყალი გაჩნდა. სახეზე სიხარული... არა, სიხარულის გამოსახატავად ძალა არ ეყო... კმაყოფილების შუქი მოე-ფინა... მიცნო!

— მოხვედი, გენაცვალე, — დაიჩურჩულა.

— ჰო, ნანდუ, მოვედი. გული არ გაიტეხო. ახლავე ექიმს მოგიყვან... ექიმი უიპველად მოგარჩენს! — ვაიმე-დებდი ბებიას და ჩემი სიტყვებისა მჯეროდა.

— ჰო, გენაცვალე... — ჩურჩულებდა ბებია.

რამდენიმე წუთში ბებიამ ცოტა მოიხედა, თითქოს გა-მოცოცხლდა. მოხუცები ამბობდნენ: აი, ხედავ, შვილი-შვილი ჩამოუვიდა და უკეთესობა დაეტყო, მალე მორჩე-ბაო.

ბიძიამ მეზობლებს სთხოვა, წასულიყვნენ და დაესვე-ნათ — მათ მთელი ღამე ავადმყოფის საწოლთან გაატა-რეს. მეზობლებს გარეთ გავყევით. ბიცოლამ კვარი მაღლა ასწია, რომ გზა კარგად გაენათებინა. ცეცხლის ენის ირგ-ვლივ თოვლის ფიფქები ირეოდა. შორიდან მდინარის



ნაცნობი შხუილი ისმოდა. ბიცოლა შინ შევიდა, მე და ბი-
ძია კი პარმალთან დავრჩით. ბიძია მონადირეა და მონადირე
მენლად ელოდება ხოლმე პირველ თოვლს. მას ისევე ემარ-
ჯვება თოვლში კვალის ამოცნობა, როგორც მე წიგნის
კითხვა, მაგრამ ახლა ნადირობისთვის არა სცხელოდა.

— წავალ, ექიმს მოვიყვან... ახლავე წავალ! — დავფა-
ცურდი მე.

— ექიმი გუშინ გვყავდა. დღეს აღარ წამოგყვება, —
წყნარად მითხრა ბიძიამ.

— რატომ არ წამომყვება?

— ხომ ხედავ, რა გზა გვაქვს! ეშმაკმა იცის, როდის
ვეღირსებით წესიერ გზას!

— ცხენს წავიყვან, — არ ვიშლიდი ჩემსას.

— სულ ერთია, მაინც არ წამოგყვება. ცხენიც შევთა-
ვაზე, მაგრამ უარი თქვა, უნაგირზე ჯდომა არ შემიძლიაო.
ცეხით კი ექვს კილომეტრზე მეორედ აღარ წამოვა, გეტუ-
ვის, რა ვენა, მძიმე ავადმყოფებს ვერ მივატოვებო. მეზობ-
ლის ბიჭი გავგზავნე ცხენით ქალაქში: წამალი დავაბარე.
ვინ იცის, როდის დაბრუნდება ამ წყეული გზის გადამ-
კიდე.

ჩემი უსუსურობა მტანჯავს. თვალები მენამება. „წყე-
ული გზა!“ — ვიმეორებ გუნებაში. საავადმყოფოში ბებიას
ხელად მოარჩენდნენ, მაგრამ ასე დასუსტებული როგორ
წავიყვანო საკაცით შარამდე. მერე კი იმ ოღროჩოღრო
გზით — ქალაქამდე. სიმწრისაგან ხელები მოვმუშე. ოთახ-
ში შევედი.

— დაწექით, ჩემო კარგებო, ახლა უკეთესად ვარ, —
გვთხოვა ბებიამ. — ბიჭს თბილად დაახურეთ.

მე და ბიძია ზალაში დავწექით, ბიცოლა კი ბეჭიასთან
დარჩა. ვიწექი და ვფიქრობდი, ვუსმენდი ულისის შენიშვნა
სიზმარი ვნახე: ვითომ ექიმი ვიყავი; ბებია გავსინჯე და
რაღაც წამალი დავალევინე. წამლის დალევა და ბებიას
მორჩენა ერთი იყო. ბებია წამოდგა. ყველას გვიხაროდა
და ვკოცნიდით. მეზობლები ამბობდნენ: აი, ნამდვილი ექი-
მი! სოფელში სწორედ ასეთი ექიმი გვჭირდებაო.

კარგ გუნებაზე გამეღვიძა. თენდებოდა. ბიძიას საწო-
ლი ცარიელი იყო. სასწრაფოდ ჩავიცვი და ბებიას ოთახის-
პენ გავეშურე. ოთახში არ მიშვებდნენ.

— კვდება, ნუ შეხვალ, არ არის კარგი მომაკვდავის
ცურება, — მირჩევდა საზარელი შაოსანი ქალი.

ქალი ჩამოვიცილე და ოთახში შევედი. ბიძია და ბიცო-
ლა მომაკვდავს სასთუმალთან ედგნენ. მათ სახეზე მორჩი-
ლება ამოვიკითხე, მორჩილება იმის წინაშე, რაც უნდა
მომხდარიყო. ბებია ნანდუს ჩემი ნაყიდი შალი ეხურა.

— ჩემო საყვარელო ბიჭო... თბილად ჩაიცვი, არ გა-
ცივდე.. შალი მიყიდე... მადლობელი ვარ... ძალიან თბი-
ლია... დაგაქციე და ეგ არის...

ბებია ძლივსლა ლაპარაკობდა, ხმა თანდათან მიუსუს-
ტდა.

— ახლა ყველანი წადით, შენ კი დარჩი, — მტკიცე
ხმით უთხრა ბიძიას, თავის უფროს ვაჟიშვილს.

ოთახიდან გამოვედით, მაგრამ ყური ბებიასკენ გვე-
ჭირა.

— ნან ჩუკა, გტოვებთ. ერთად არ დავბადებულვართ,
რომ ერთად დავიხოცოთ. მე დედა ვარ და თქვენზე ადრე
უნდა მოვკვდე. აბა, თქვენ იცით, სტუმართმოყვარების

წესი არ შელახოთ... ბიჭის ჩემს კუბოსთან ღამე არ გათვა-
ვინოთ, გაუფრთხილდით ყმაწვილს...



მე ვეღარ მოვითმინე და ბებიასთან შევვარდი. ვეხვეწი-
ბოდი, ნუ მიგვატოვებ-მეთქი. ბებიამ სუსტად გაიღიმა:

— მე არ ვკვდები, შვილო; ვიდრე თქვენ ცოცხლები
ხართ, მეც ვიცოცხლებ... მხოლოდ ძალიან დავიღალე და
მინდა დავისვენო... თავს გაუფრთხილდი...

ნანდუს უნდოდა შალი წაეხურა, მაგრამ ხელი უსი-
ცოცხლოდ ჩამოუგარდა საწოლიდან. ბიძიამ ფრთხილად
აიღო მისი ხელი და შეერდზე დაადო.

— გააჩერეთ მანქანა! — შევძახე მოგონებებით გაპრუ-
ებულმა.

მეგობრები გაოცებულები მიყურებენ. გადმოვდივარ
მანქანიდან და ქვით შემოლობილ საფლავთან მივდივარ.
პატარა, სადა ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „აქ განისვე-
ნებს ნანდუ. 1951 წელი 28 დეკემბერი“. ნაცნობი კოლმე-
ურნე მოდის ჩემთან და მთხოვს, წამობრძანდით ჩვენთან,
დაისვენეთო. უარს ვეუბნები — ძალიან გვეჩარება-მეთქი.

— შენზე ერთი სასიხარულო ამბავი გავიგეთ — ახალ
მაღაროში ექიმად დანიშნესო. მართალია?

— მართალია, — უნებურად ბებიას საფლავს გადავხე-
დე. — მაგრამ მე ყველა თქვენს სოფლელს ვუმკურნალებ.
როცა დაგჭირდეთ, გამომიძახეთ ხოლმე.

გზა განვაგრძეთ. ფიქრებით ისევ ბებიასთან ვარ: „ექი-
მი რომ მოგვეყვანა, იქნებ დღესაც ცოცხალი ყოფილიყო.
ახლა მე თვითონ ექიმი ვარ, სოფლამდეც მშვენიერი შარა-

გზა მიიმართება, მაგრამ ჩემი საყვარელი ბებია ნამდე
ცოცხალი აღარაა“.

სწორ, მოასფალტებულ გზატკეცილზე მიქრის ჩვენი
განქანა; მთებისკენ, ახალი მაღაროსკენ მიგვაქროლებს. ამ
გზაზე იყო, ოდესლაც სიტყვაძუნწმა შოთერმა სიბრაზისა-
გან რომ გადააფურთხა. „ეჭ, გზაო, გზაო, მართლაც დიდი
მნიშვნელობა გაქვს ადამიანის ცხოვრებაში!“ — ვბუტბუ-
ტებ ჩემთვის.

გ ზ ი პ

ო კისპირულად წვიმ-
ბ და. ლაბადაწამოსხმუ-
 ლი შამილი მზიას ჭიშ-
 კარს მიუახლოვდა. მცენარეულობა ხასხასა და ქორფა იყო.
 ხეების ტოტებში, რომლებიდანაც წყალი წურწურით ჩა-
 მოდიოდა, კაშკაშა სინათლე ატანდა. ხეების ტოტები ერთ-
 მანეთში გადახლართულიყვნენ. წვიმის მსხვილი წვეთები
 მწიფე ალუჩიასავით ცვიოდა ძირს.

— ეტყობა, ჯერ არ დაწოლილა.

შამილმა ჭიშკარში ხელი შეყო, ურდული გასწია, კარი
 ცრთხილად გააღო და ეზოში შევიდა. ჭიშკარი წვიმისაგან
 გაჟღენთილი და დამძიმებული იყო. იგი ძალიან ფრთხი-
 ლად მიდიოდა, ეშინოდა, ძალლი არ სცემოდა ფეხებში. ასე
 გაჭირვებით მიუახლოვდა სახლს, ფანჯარას აეკრა და პა-
 ტარა ოთახს თვალი მოავლო. მზია საწოლზე გულალმა იწ-
 ვა, ფუშფუშა თმა ბალიშზე გაშლოდა, ერთი ხელი თავებეშ
 ამოედო, მეორეში კი წიგნი ეჭირა და კითხულობდა.



შამილი ფანჯარას მოშორდა, კიბეზე ავიდა და გადაკუთხდა
დააკაკუნა.

— ვინა ხარ? — გამოსძახა მზიამ.

— მე ვარ, მზია, — ჩუმად უპასუხა შამილმა, ეშინოდა, ძალლი არ გაეღვიძებინა.

— გეკითხები, ვინა ხარ? — გაიმეორა მზიამ.

„ნუთუ მზიას ასე მკვახე ლაპარაკი შეუძლია?“ — გაიფიქრა შამილმა.

— მე ვარ, შამილ!

ამ დროს აივნის ქვევიდან ძალლი გამოვარდა ლრენით, შამილს ფეხებში ცა და მზიას რომ იმავე წამს კარი არ გაეღო, ლამის სტუმარს სულ დაკბენდა.

გალუმპული შამილი დაბალჭერიან ოთახში შევიდა.

— საღამო მშვიდობისა! — თქვა შამილმა, როგორც კი სული მოითქვა.

— მშვიდობა ნუ მოგეშალოს, ამ თავსხმაში რამ მოგიყვანა?

— ჰო, რა ვიცი... — უთხრა მან და ლაბადა მოიხსნა. — ძალლი მართლაც ავი გყოლია! — გაიღიმა. — შენ რომ არა, აუცილებლად დამგლეჯდა.

— შემეცოდე, თორემ კარს არ გაგიღებდი.

— რატომ? ჩემი მოსვლა არ გესიამოვნა?

— ხომ იცი, მარტოხელა ქალთან შუაღამისას მისვლა უხერხულია. მეზობლები პატივს მცემენ, ვუყვარვარ კი-დეც, მაგრამ თვალყურს მაღევნებენ, მითვალთვალებენ. ძალლის დაყეფებისთანავე ჩემზე წინ გარეთ ისინი გამოცვიდებიან ხოლმე.



შამილი ერთ ხანს ასე იდგა. მერე თმაზე ხელი გადაის-
ვა, სველი სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა და ლაბალა ჩამოშლოდა
მოკიდა. მასპინძელს, დაჯექიო, ერთხელ არ უთქვამს. მზიას
ხალათის კალთები ხელით ეჭირა, სახეზე თმა ჩამოშლოდა
და ისე გარინდებული იდგა, თითქოს რაღაცის მოფიქრე-
ბას ცდილობსო.

— მაშინ, წავალ.

— რახან მოხვედი, დაჯექი. — მზიამ სკამი მიუწია და
ოთახიდან გავიდა. მალე შემობრუნდა და სტუმარს გვერ-
დით მიუჯდა. გააბეს საუბარი. ლაპარაკობდნენ მუშაობა-
ზე, სკოლისა და ინსტიტუტის წლებზე, ამხანაგებზე...

შამილი ალბომს ფურცლავდა.

— მზია, ეს ლამაზი გოგო ვინ არის? — ანიშნა ერთ-
ერთ სურათზე.

— მოგეწონა?

— ასეთი გოგო როგორ არ მოგეწონება!

— გათხოვილია, დაგაგვიანდა, — გაეცინა მზიას.

— მომკალი და ესაა. ვინ არის?

— ჩემი მულია.

— არა, მართალი მითხარი.

— მართალს გეუბნები, ჩემი მულია, ოჩამჩირეში
ცხოვრობს.

— შენი არაფერი მესმის, რას ამბობ!

— იმას, რასაც გუშინ საღამოს გეუბნებოდი.

— კი მაგრამ... ის სადღაა?

— ომში დაიღუპა. — მზიას სახე მოეღრუბლა.

შამილმა პაპიროსი პირში ჩაიდო. მზიას ისე მისჩერე-
ბოდა, თითქოს პირველად ხედავსო.



— კარგი, მაგრამ მაშინ რამდენი წლისა იყავი?

— თვრამეტის... სკოლაში ერთად ვსწავლობდის ყველა რომ დავამთავრეთ, დავქორწინდით. სამი თვის შემდეგ ომში წავიდა. წელიწადიც არ იყო გასული, რომ მისი დაღუპვის ცნობა მივიღე.

— და იმის შემდეგ სულ მარტო ხარ? ასე მარტო ყოფნას როდემდე აპირებ?

მზიამ ვაჟს ალბომი უხმოდ ჩამოართვა, გადაფურცლა და რომელიღაც სურათი ამოიღო.

— აი, ჩემი მეორე ქმრის სურათი.

„ღმერთო, ნუ გადამრევ“, — გაიფიქრა დაბნეულმა შამილმა.

— სად არის ახლა?

— ჩემთან კი არ არის და... ვერ შევეთვისეთ ერთმანეთს. სანამ შემეძლო, ვითმინე...

— რა გქონდათ გასაყოფი?

— უშეილობა...

„ღმერთო, როგორ უცებ დამთავრდა ყველაფერი“, — ლიქრმა გაკენწლა შამილი. მზიას შეხედა, მაგრამ უკვე სხვა ქალად მოეჩვენა, სადღა იყო მისი გაბუტული ტუჩები, საყვარელი თვალები, ბავშვური ნიკაპი. სული ძლივს მოითქვა.

— დიდი ხანია, რაც მეორე ქმარს გაშორდი?

— წელიწადია.

— აქაურია?

— ქუთაისელია. მეც იქ ვიყავი. ამ სახლში ჩემი მული ცხოვრობდა. დიდი ხანი არ არის, რაც გათხოვდა. პოდა, მეც ჩემი პირველი ქმრის სახლში დავსახლდი სამუდა-



შოდ. — მზია მცირე ხანს დადუმდა. — ეჰ, ბედი იმას სწყალი ლობს, ვინც ბედნიერების ფასი არ იცის. უცხოსთან ვცდობ მხიარული ვიყო, ხოლო როცა მარტო ვრჩები, დავტირი ჩემს ბედს. მშობლები ადრე გარდამეცვალა, ჩემი ძმა შენი ხნისა იყო...

- რა დაემართა?
- ომში დაიღუპა.
- წყეულმა ომმა რამდენი სიცოცხლე შეიწირა. კარგა ხანს ორივე უხმოდ იჯდა. სიჩუმე კედლის საათ-მა დაარღვია, უკვე ღამის პირველი საათი იყო.
- უჲ, პირველი საათი ყოფილა! — თქვა მზიამ.
- წასვლის დროა, — შამილი ადგა.
- მადლობელი ვარ, რომ მინახულე. თუმცა ჩემთან არც მოისვლება. სახლს პატრონის ხელი აკლია. ხედავ, სახურავიდან წყალი ჩამოდის.
- გულს ნუ გაიტეხ, სახურავის გადამხურავიც გამოჩდება! — უთხრა შამილმა დამშვიდობებისას.
- ცხოვრებაში ბევრ სიძნელეს შევხვდი, შევეჩვიე კიდეც.

შამილი ერთ ხანს მის ხელს ხელიდან არ უშვებდა, არც მზია ცდილობდა ხელის განთავისუფლებას. შამილს სურვილი ჰქონდა, მოხვეოდა, მკერდში ჩაეკრა ქალი, მაგრამ...

დანაკლისზე, მწუხარებაზე ნაღვლიანი ლაპარაკის შემდეგ მგზნებარე გრძნობების გამომქლავნება ურიგო ეჩვენა ჩა სიტყვა არ უთქვამს, მზიას ალერსიანად შეხედა, მშვიდობის ღამე უსურვა და წავიდა.

შამილი იმ ღამის შემდეგ მზიას ხშირი სტუმარი იყო.
„ვაითუ მეზობლებმა დაინახეს, რას იფიქრებენ?“ —
ფიქრობდა ხშირად შეშფოთებული მზია.

მაგრამ დრო გადიოდა და მზიაც თანდათან დამშვიდდა. ძალიც აღარ უყეფდა შამილს. როგორც კი დაინახავდა, სიხარულით მივარდებოდა, ეთამაშებოდა, კუდის ქიცინით გარშემო ურბენდა მანამ სახლამდე არ მიიყვანდა.

დღეები გადიოდა. „ნეტა როგორ დამთავრდება ყველა-ერი? — ეკითხებოდა თავის თავს მზია. — დღეს თუ არა, ხვალ მაინც გავუმჟღავნებო ერთმანეთს გულისნადებს“.

მზიამ ძალიან ბევრი მწუხარება ნახა. მისი პირველი ძედნიერება ხანმოკლე გამოდგა. მეორედ კი შეცდა. დედმამა, ძმა... დიდი უბედურების გადატანა მოუხდა. უნდოდა ახლა მაინც პქონოდა საყვარელ ადამიანთან მცუდრო ცხოვრება.

●

შაბათს მზია ვაშლის ხის ქვეშ მურაბას ხარშავდა. ის რყო გაიფიქრა, კარგი იქნებოდა დღეს შამილს დაერეკაო, რომ ჭიშკარში შეხვეულებით დატვირთული შამილი გამოჩნდა. მზია გაოცდა, წამოდგომისთვის ძალა აღარ ეყო. შამილი ასე დღისით მზისით ჯერ მასთან არასოდეს მოსულა.

— გამარჯობა! მურაბას ხარშავ? — ხალისიანად პკი-ოხა მან.

— ნასვამი ხარ? აქეთ წამოდი! — მზია შინისაკენ გაემართა.



— ამ სიცხეში ოთახში დავიხრჩობით. აქ ჯობია, გრი-
ლა. ეს გამომართვი... მე კი ამ ჩაყვითლებულ მსხალს მოვალეობა
წყვეტ, — უთხრა შამილმა და მზიას შეხვეული გაუწოდა.
ქალმა გახსნა — შიგ შოკოლადი, სუნამო და წვრილი ლურ-
სმანი აღმოჩნდა. მზიას გაეღიმა.

— რა გაცინებს?

— ამდენ რამეს თავი სად მოუყარე?

— კამიუტები გასტრონომში ვიყიდე, ერთად შევჭამთ,
სუნამო საკუთრივ შენ მოგართვი, ლურსმნებით კი სახუ-
რავს შეგიკეთებ, — უპასუხა შამილმა. ეტყობოდა, ლვინო
თანდათან ეციდებოდა.

— შამილ, წამოდი, დაწექი, დაისვენე!

— არა, ვინმემ რომ იყითხოს, შენთან ვის სძინავსო?..
არა, არ დავიძინებ. დროზე რომ არ გამეღვიძოს?

„ჩემი გამოცდა უნდა“, — გაიფიქრა მზიამ.

— სად დალიე?

— იქ! — უთხრა შამილმა და ხელი ჭიშკრისკენ გაიშ-
ვირა.

შამილმა თვალები გადაატრიალა. „უმჯობესია შინ შე-
ვიყვანო და დავაწვინო. ფეხზე ძლივს დგას“ — გადაწყვი-
ტა მზიამ.

— არ დავიძინებ... სახურავს შეგიკეთებ... ჩემი ამხა-
ნაგები ქორწილში წავიდნენ, მე კი არ გავყევი. გესმის,
მზია, ვერ წავედი, იმიტომ, რომ შენ აქ მარტო მეგულებო-
დი. მე შენ მიყვარხარ. მერე რა, რომ ჩემზე უფროსი ხარ,
ორჯერ განათხოვარი, მე შენ მიყვარხარ, გესმის, მიყვარ-
ხარ!

— შამილ, ახლა დაიძინე, მერე ვიღაპარაკოთ.

- რა დროს ძილია.
- გთხოვ, შამილ, ხმას ნუ უწევ...
- მიპასუხე, გიყვარვარ? თორემ ისეთ ღრიალს ავტებ...
- მიყვარხარ, მიყვარხარ. დაწექი-მეთქი! — მზიამ დიდი გაჭირვებით შეიყვანა ოთახში და ლოგინში ჩააწევინა.
- ეს საბანი რომ დაგიჭმუჭნო?
- დაჭმუჭნი და დაჭმუჭნე, რა დიდი ამბავია!
- თუ გიყვარვარ, მაკოცე, მაკოცე შუბლზე. აი, აქ... — შამილმა შუბლზე თითო დაიდო. მზია დაიხარა და აკოცა. შამილმა ხელები მოხვია და თავისკენ მიიზიდა.
- ჩემო მზია! — წარამარა გაიძახოდა, თან უკოცნიდა ჯელს, თვალებს, ლოყებს.
- შამილ, კმარა, შამილ! — ეუბნებოდა მზია.
- სიმთვრალეში ნუ ჩამომართმევ, მზია, ძალიან მიყვარხარ.
- მზია ხელიდან დაუსხლტდა და ეზოში გავარდა.



დაბინდებამდე მზია ეზოში ფუსფუსებდა. მურაბა ქილებში ჩაასხა, თავი მოუკრა და შეინახა. განგებ ხმაურობდა, იქნებ შამილი გავაღვიძოო, მაგრამ სტუმარს მაგრად ეძინა.

მზიამ ოთახში სინათლე აანთო. შამილს არაფერი გაუგია. ქალი ერთ ხანს გაუნდრევლად იდგა. „როგორ მოვიქცე.

გავაღვიძო თუ არა? თორმეტ საათამდე კიდევ მოვიცდი, 
ძილში სიმთვრალე გამოუნელდება...”

მზია გავიდა, ვახშამი მოამზადა, თავი გამოიკიცა ტავა
და მეორე ოთახში ტახტზე წამოწვა. უნდოდა წიგნი წაე-
კითხა, მაგრამ გული ვერ დაუდო, სულ შამილზე ფიქრობ-
და. „ახლა რომ შემოვიდეს და მითხრას, ცოლად წამომყე-
ვიო, რა ვუპასუხო? — ეკითხებოდა თავის თავს მზია. —
მივცე თანხმობა, თუ არა? ახალგაზრდაა, ლამაზი, ჭკვიანი,
განათლებული. კარგი მშობლები ჰყავს, მე დედ-მამის მა-
გივრობას გამიწევენ, მაგრამ... იქნებ შამილი სულ სხვას
ფიქრობს? არა მგონია“.

თვალები მიელულა, წიგნი ნელ-ნელა ხელიდან გაუ-
ცურდა და ჩაეძინა...

უცებ რაღაც რახუნი ჩაესმა. მზია წამოხტა, ირგვლივ
მიმოიხედა. ოთახში არავინ იყო, სინათლე ჭვლავ ენთო.

მზია აივანზე გავარდა. მურია კართან იჯდა და იქიქე-
ბოდა.

მზიამ ახლა შამილის ოთახის კარი გააღო. სინათლე
ჩამქრალი იყო. ხელი გაიწოდა და შუქი აანთო. შამილი
გაშლილ ლოგინში იწვა.

„ახლავე გავაღვიძებ, ვეტყვი, წავიდეს, — ფიქრობდა
მზია. — არა, სირცევილია. ცუდი ხომ არაფერი გაუკეთე-
ბია და რატომ გავაგდო. ლვინო ვის არ ათრობს...“

ქალმა გადახედა ტაბურეტს, რომელზედაც შამილის
შთლად დაჭმუჭმული შარვალი ეგდო. მზიამ აიღო შარვა-
ლი და მეორე ოთახში გავიდა. გაწმინდა, გააუთოვა და
ისევ ტაბურეტზე დადო. მერე შუქი ჩააქრო, კარი ფრთხი-
ლად გაიხურა და თავის ოთახში დაბრუნდა. რამდენიმე



ხანს იდგა და ყოყმანობდა — დაწოლილიყო, თუ არ შეიძლება დაწოლა არჩია. გადაწყვიტა, წამსვე დავიძინებ, არმა ცუკას დალით ადრე ავდგეო.

ნაშუაღამევის ორი საათი იყო, ძილი კი არ ეკარებოდა.

— მზია! — შამილის ხმამ ღამის მყუდროება დაარღვია.

მზია საწოლში წამოჯდა, გული საშინლად უცემდა.

— მზია, გძინავს? — გაისმა ისევ.

„ხმას არ გავცემ, იქნებ დაეძინოს“.

— მზია თუ არ გძინავს ჩემთან გამოდი, გთხოვ...

მზია ლოგინიდან წამოხტა, სინათლე აანთო, ხალათი მოისხა და ოთახში შევიდა. შამილი გადაფითრებული იწვა.

— მზია, მაპატიე, რომ არ წავედი... რომელი საათია?

— მესამე დაიწყო, — უპასუხა მზიამ.

— მაპატიე... — კვლავ გაიმეორა შამილმა. — ზედმეტი დავლიე, ამაზე ლაპარაკი უჟვე გვიანაა. დღეიდან არც ერთ წვეთს პირში არ ჩავუშვებ... ოჰ... — შამილმა გულზე იტაცა ხელი, თითქოს ვინმემ დანა ჩასცაო.

— რა მოგივიდა? — მივარდა მზია.

— არაფერი. — შამილს გულზე ხელი ედო, თითქოს იმ ცეცხლის ჩაქრობა სურდა, რომელმაც მოსვენება დაუკარგა. მზიამ სასწრაფოდ ვალიდოლი მიუტანა.

— გული დიდი ხანია გაწუხებს?

— ორი წელიწადია. დავლევ თუ არა, ცუდად ვხდები. პირველად რომ გამეღვიძა, წასვლა დავაპირე... მაგრამ ვერ შევძელი.

— გულზე სველი ტილო ხომ არ დაგადო?

— კარგი იქნება.



მზიამ მაისური გადაუწია და სველი ტილო გულზე და
ადო.

— ჩემს გვერდით ჩამოჯექი!

მზია გაუბედავად ჩამოჯდა.

— ხელი დამადე, შენი ხელი უფრო მიშველის.

შამილი თვალს არ აშორებდა ქალს.

— მზია, გახსოვს დღეს რაზე გელაპარაკე? კიდევ გა-
გიმეორებ, გინდა ჩემი ოჯახის დიასახლისი იყო? — შა-
მილი მზიას ხელს სულ უფრო და უფრო ძლიერად იკრავ-
და გულში.

— შენი მშობლები რას იტყვიან, ქმარგაყრილი ქალი
რომ შეირთო?

— ვინც მე შემიყვარდება, იმათაც შეუყვარდებათ.
ამის ჯავრი ნუ გაქვს.

— ცხოვრება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე გეჩ-
ვენება. ასე რომ არ იყოს, ახლავე გამოგყებოდი...

— მზია, მითხარი, სანუგეშოდ ერთი სიტყვა მაინც
მითხარი!

— აბა რა უნდა გითხრა?

მზიას საფენი ხელიდან გაუვარდა. დაიხარა, რომ აეღო,
ვერ. შენიშნა, როგორ გაეხსნა ხალათი. შამილმა თვალი
მოჰკრა მის ბროლივით მქერდს... სისხლი თავში აუვარდა.
ქალს ხელი სტაცა და გულში ჩაიკრა.

— შამილ, შამილ!

— მზია!

— შამილ, რას სჩადი, შემიბრალე, შამ... — ჩამიჩუმი
არ ისმოდა. მხოლოდ კომშის ტოტი ელამუნებოდა ფანჯ-
რის მინას, თითქოს შინ შესვლას ლამობსო.

...შამილს გამოეღვიძა. თავი უბრუოდა. ფანჯრიდან ლამის უხმო მოწმე, კომშის ტოტი იყურებოდა. მის მკლავზე მზიას თავი ედო. თმის რამდენიმე კულული სახეზე ჩამოშლოდა, ტუჩები ოდნავ გაფითრებოდა. შამილმა ფრთხილად, სათუთად აკოცა მზიას. ქალმა თვალები გაახილა.

— შამილ, ისევ აქა ხარ?

— შენ გეგონა, ჩემს მარჯვენას, თავქვეშ რომ გედო, გამოვაძვრენდი... ავდგებოდი და წავიდოდი?.. ასე გეგონა?

— მაშ რას ფიქრობ?

— იცოდე, ბედნიერებას წუთიერ სიამოვნებაში როდი ვეძებ. მე მხოლოდ მაშინ ვიქნები ბედნიერი, როცა მეცოდინება, რომ შენი თმა, შენი ხელები, ყელი, თვალები, ყველაფერი ჩემია. მე მინდა, შენი თვალები დღე და ღამ მხოლოდ ჩემთვის ანათებდნენ. მე მინდა, ჩემი სახე ყოველ დილას გრძნობდეს შენი თბილი ბაგების შეხებას. მე მინდა, შენ ყოველთვის გესმოდეს ჩემი ხმა, ჩემო თვალისჩინ, ჩემო მზია!

— არ გინდა, შამილ, ასე მგონია, გაზეპირებულ ფრაზებს იმეორებ...

— დიახ, გაზეპირებულია. ეს სიტყვები ჩემმა გულმა გაიზეპირა...

— ახლა კისლოვოდსკში მივდივარ. ჩამოვალ და ვიქორწინებთ. პირობას გაძლევ, წვეთ სასმელს არ დავლევნახავ, როგორ გამოჯანმრთელებული დავბრუნდები.

ორივეს გაეღიმა.

მზია ადგა და შამილს საუზმე გაუმზადა.

პირველი კოვზის აღებისთანავე შამილი მოგონებებმა გაიტაცეს. რამდენი ხანია ასე გემრიელად არ უსაუზმია. რამდენი ხანია მისთვის არავის უთქვამს: ეს ჭამე, იქნებ ეს გესიამოვნოსო?

— ძალიან მომეწონა შენი პურ-მარილი. მეფურად წისაუზმე...

— შეგერგოს.

— აბა, ახლა კი წავალ. — შამილმა ჭიშკარი გააღო და გზაზე გავიდა.

მზია რამდენიმე ხანს აივანზე იდგა და ჭიშკრისაკენ იცქირებოდა. „აი ჩემი საბედო ვინ ყოფილა!“ — გაიფიქრა მან.

ბადრას კარ-მიდამო საშინელმა კივილმა შესძრა. მეზობლები იქითკენ გაეშურნენ.

— რა გაკივლებს, ჯერ სინამდვილე გავიგოთ... — ამ-შვიდებდა ქმარი მოხუც ქალს, რომელიც ამაგაშლილი ეზოში აქეთ-იქით აწყდებოდა.

— რა მოხდა, რა? — ეკითხებოდნენ მოსულები.

— შამილი მომიკვდა, მეზობლებო, შამილი... თქვენ ჩემზე ნაკლები ამაგი კი არ მიგიძლვით. იმედი არ გაგვიმართლა, შეგვარცხვინა.. — მოსთქვამდა დედაკაცი.

— დიდუ, დამიდგეს თვალები... რა მოხდა? — შეიცხადეს მეზობლებმა.

— დამშვიდდით, რა დაგემართათ, ხომ არ გადაირიეთ,
ცოცხალს რას ტირით! — დასჭყივლა ვიღაცამ. — ზეგრუბნება
ბით, დამშვიდდით-მეთქი. ხალხის მაინც შეგრცხვეს, კაფა,
შენმა შვილმა ქალი ითხოვა, შენ კი მოთქვამ, ლოყებს იხო-
ჯავ. კივილი კი არა, ქორწილი უნდა გააჩაღო!

— ვაი, მაშინ მიწა დამეუაროს, რომ მე იმათ ქორწილი
გადავუხადო, იმათი კუბო ვნახე, იმათი. ჯიმა, ჩემი შვილი
იმ ოხერი ქალისთვის გავზარდე?! ვასწავლე, ხალხში გა-
მოვიყვანე, შესახედავად ისეთია, ავ თვალს არ ენახვება...
ვაი, ვაი, ვაი, საქვეყნოდ თავი მომჭრა... ეს რა გავიგე...
ოთხჯერ განათხოვარი ქალი. ნუთუ იმ უსირცხვილო ქალის
გარდა უბედურმა ჩემმა შვილმა სხვა ვერავინ ნახა?.. —
კაფას ცრემლი ღაპალუპით ჩამოსდიოდა.

ბადრა არაფერს ამბობდა, მაგრამ კაფაზე ნაკლებ რო-
დი იტანჯებოდა.

„ვამაყობდი, სოხუმში შვილი მყავს-მეთქი... — ფიქრობ-
და ბადრა. — მეუბნებოდნენ, შამილის შესაფერი ქალის
გამონახვა ადვილი საქმე არააო. იმ ჩემმა დამღუპველმა კი
ოთხჯერ განათხოვარი ქალი არჩია ყველას. რაში გამოგ-
უდგება? ალბათ შვილებიც ჰყავს. იქნებ, არც ისეა საქმე,
როგორც გვგონია. ვინმეს მიღუგზავნი, გავიგებ ყველა-
ფერს. მე ვერ წავალ, არ შემიძლია. მგონია, გული გამისკ-
დება“...



ერთ დილით, როცა შამილი სამსახურში მივიდა, უთხ-
რეს, ვიღაცამ დაგირეკა და ტელეფონის ნომერი დატოვაო.
მაშინვე დარეკა.



— მეორე დღეა რაც მზია სამსახურში არ მოსულა. ავადაა. შენი ნახვა უნდა... — უპასუხეს შამილს.

შამილი სწორედ იმ დღეს დაბრუნდა კისლოვოლძესკი-დან. გაიგო თუ არა, მზია ავადააო, მისკენ გასწია. უკვე აღარ ერიდებოდა, რას იტყოდნენ მეზობლები. როგორც კი ჭიშკარი გააღო, მურია ტყვიასავით მისკენ გაქანდა.

— მურია! აი შე სულელო, ვერ მიცანი? — მიეფერა შამილი. მურიამ კუდი გააქიცინა, შამილს შეახტა, შემდეგ გარს შემოურბინა და სახლისაკენ გაიქცა, თითქოს პატ-რონს უნდა ახაროსო.

ფოთლები უკვე გაყვითლებულიყო. აქა-იქ საგვიანო ვაშლები ეკიდა. ნიავმა დაუბრა, ფოთლები აშრიალდნენ და ტრიალ-ტრიალით მიწაზე დაეშვნენ...

ატუტუნდნენ მეზობელი ქალები:

— ჩვენი სიძე მოვიდა! — თქვა ერთმა.

— ეტყობა, მოენატრა. აბა რა, ერთი თვეა, ერთმანეთი არ უნახავთ, — თქვა მეორემ.

— ნეტა მართლა ცოლად შეირთავს?

— ამბობენ, შეირთავსო.

შამილი სასტუმრო ოთახში შევიდა, წინ არავინ შეგე-ბებია. მერე საძინებელი ოთახის კარი შეაღო და გაჩერდა. მზია იწვა.

— რა მოგივიდა! — შამილმა შუბლზე აკოცა.

მზია ძალზე ფერმერთალი იყო, თვალები სიხარულისა-გან აუციმციმდა.

— რა მოგივიდა, ხომ არ გაცივდი?

— არა... — უპასუხა მზიამ. — როგორ დაისვენე?

— დასვენებით კი დავისვენე, მაგრამ...

- მაგრამ?.. მოწყენილი ხარ?
- მაგაზე შემდეგ... უჩემოდ როგორ ხარ?
- როგორც ხედავ... ჩემი წერილი მიიღე?
- მივიღე... — უთხრა შამილმა, თან პაპიროსი ამოილო.

მზია ელოდა, შამილი რას იტყოდა.

- დილით სამსახურში ვჩქარობდი, უცბად ყველასაგან პატივსაცემ ხუთ ჩემს თანასოფლელს შევხვდი, — როგორც იყო ამოღერღა შამილმა.— მამაჩემს გამოუგზავნია...

შამილს არ შეეძლო მზიასთვის ეთქვა ყველაფერი, რაც უთხრეს: შენს გვარს ჩირქს ნუ მოსცხებ, მამას ნუ შეარცხვენ, ნუ შეირთავ იმ უგვან ქალსო. თანაც მიღებული პქონდა მზიას წერილი, იცოდა, ქალი ორი თვის ფეხმძიმე იყო, შვიდი თვის შემდეგ უნდა მოვლენოდა ქვეყანას მისი სისხლი და ხორცი, მისი გვარის მატარებელი.

- ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, — მზიას ცრემლი წასკდა.

— ნუ სტირი. ჯერ მომისმინე. ვიღაცას მამაჩემისთვის ამბავი მიუტანია, მზია ოთხჯერ განათხოვარია, შვილება ჰყავს, ცუდი ყოფაქცევის ქალიაო, და ხომ იცი...

- თითქოს მწუხარება არ მეყოფოდა, ჩემი ბრალია, არც შენ და არც შენი ოჯახი აქ არაფერ შუაში არა ხართ...

— ჯერ მომისმინე.

- რა უნდა მითხრა, ვიცი, შენ არც ჩემი და არც მამის წყენინება არ გინდა.

— არა. მე ჩემს სიტყვას არ გავტეხ. ცოლად შეგირთავ. ვის შეუძლია ამიკრძალოს შენი სიყვარული.

— მაშ, ხალხი რატომ გამოგიგზავნა?



— უთხრეს, თითქოს იძულებული ვარ ცოლად შეგირ-
თო. ამიტომ ისე უნდა გავაკეთოთ, რომ მამაჩემმა გაიგონება
სიყვარულით გირთავ და არა იძულების გამო.

— მერე ჩემგან რა გინდა, რას მთხოვ? — მზია სა-
წოლში სწრაფად წამოჯდა.

— ძნელი სათქმელია, მაგრამ... ბავშვი არ უნდა გაჩნ-
დეს. მე კარგი ექიმი ვიცი. მამას დავარწმუნებთ, რომ შენ
სპეტაკი ხარ. განა მერე კი აღარ გვიყოლება შვილები?
დამნაშავე ვარ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის...

— არა!

— ხალხი რას იტყვის?

— რაც უნდა, ისა თქვას...

— მზია, ნუ კიუტობ. იფიქრე ჩემსა და შენს სახელ-
ზე, ჩვენს ზენ-ჩვეულებაზე...

— შამილ, მაგას ნუ მეუბნები! შეგვიბრალე მეც და
ჩემი ბავშვიც. ჭორებთან არაფერი მესაქმება. ბედნიერი
ვარ, რომ დედა ვიქნები, შვილი მეყოლება. იცი, ამას რამ-
დენი ხანი ველოდი.

— ბავშვები მეც მიყვარს.

— რომ გიყვარდეს, განა იკადრებდი ამის თქმას?

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ კიდევ გაგვიჩნდება შვილები.

— ადამიანი თვითონ ქმნის თავის ბედნიერებას. სხვას
არავის შეუძლია მისი დახმარება.

— მზია! დამიჯერე, მზია. მამაჩემი უნდა დავარწმუ-
ნოთ...

— თუ მამაშენი შეგნებული კაცია, ყველაფერს ნათე-
ლი თვალით შეხედავს, თუ არადა, რაც უნდა, ისა თქვას.
დაე, თქვას, რომ ზედაცემული ქალი ვარ, დაე, თქვას,



რომ მისი ვაჟი ვაცდუნე, დაე, შინ ნუ შემიშვეჭკ, წმინდაშემს
შვილს სიცოცხლეს ვერ მოვუსპობ.

— თუ მაგრეა, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე. შე-
ნი გულისთვის მამას ვერ დავკარგავ. ამაზე გული ნუ მო-
გივა. თუ გინდა, შეგირთო, უნდა დამიჯერო, მამაკაცი ვარ
და ოჯახში ქმრის სიტყვა კანონია. არა, ჩვენ ერთმანეთს
• გცრ შევეგუებით. თავის მოტყუება რა საჭიროა, უმჯობე-
სია, სანამ გვიან არ არის, სათანადო დასკვნა გავაკეთოთ.

— შენ მე გამოელე, სახელი გამიტეხე. ახლა კი, იცო-
დე, ასე უბრალოდ თავიდან ვერ მომიშორებ. ქარაფშუტა
გოგო ხომ არ გვინივარ. ვნახოთ, ვინ ვის მოერევა! —
მზია გაბედულად წამოხტა.

— შენს ნამდვილ სახეს აი, ახლა ვხედავ! — წამოდ-
გა შამილიც.

— რა გინდოდა ჩემგან, მე ჩემს გაჭირვებას უხმოდ
ვიტანდი, შენს ჩამოსვლას მოუთმენლად მოველოდი, მე-
გონა, ადამიანი იყავი. — მზიას ცრემლი წასკდა, — წადი.
გასწი! რატომ, რატომ არ მიდიხარ?! — შამილი გაქვავე-
ბული იდგა და პაპიროსს ნერვიულად აბოლებდა, — რა-
ღას უდგახარ... სულ ერთია, ვერ დამითანხმებ. ჩემი შვილი
მე მეცუთვნის. შენ ვინა ხარ!

— მამა ვარ.

— მამა კი არა, მკვლელი ხარ!

— რა დაგიშავე ასეთი?

— ვერ ხედავ, რაც დამიშავე: ჩემი სახელი ფეხვეშ
გათელე, კიდევ მეტიც...

— შენი სახელი შენ თვიოთნ გათელე. ნუთუ ყველაფე-
რი დაგავიწყდა? — შამილმა ათვალწუნებით შეხედა ქალს.



გზიას თითქოს მეხი დაეცაო, სიტყვაც ვერ დაძრა, ცრემლირენალი გაუშრა, კარგა ხანს იყო ასე. ბოლოს გამოერკვა დაშვილობება ჩილს სილა გააწნა.

— უსინდისო! დღეის იქით თვალით აღარ დამენახო. გასწი აქედან, ალბათ შენი შვილიც შენ გემგვანება. ხვალ-ვე წავალ ექიმთან... აღარ დამენახო, უსინდისო... უსინ-დისო... — იმეორებდა მზია. რისხვისაგან სახე დამანჭოდა.

შამილი თავჩაქინდრული, ბარბაცით ჭიშკრისაკენ გაე-მართა. შემოდგომის გაყვითლებული ფოთლები ჰაერში ტრიალებდნენ და გზაზე ცვიოდნენ.



აი, უკვე სამი დღეა შამილისგან არაფერი ისმის. როცა ერთად იყვნენ, სამი დღე სამი წამივით გაირბენდა ხოლ-მე. ახლა კი ეგონა, სამი წელიწადი გავიდაო. მზია დილა-ადრიან ადგა. თვალებზე სველი ხელი მოისვა, თავზე თავ-საფარი მოიხვია და კარისაკენ გაემართა.

„ჯერ ძალიან ადრეა, ასე დილაადრიან როგორ შევა-წუხო, — ჩაილაპარაკა მზიამ. რძე ჭიქაში ჩამოისხა, მოს-ვა, მაგრამ ისე დაიმანჭა, თითქოს ქინაქინი დაელიოს. მერე თავის თთახში შევიდა და საწოლზე მიწვა. — უფრო ცუ-დად რომ გავხდე, ვინ მომხედავს, ვინ შემიცოდებს? — მზიას თვალები ამოღამებული ჰქონდა, ამ სამ დღეში სა-შინლად გამოიცვალა, თითქოს დაბერდა კიდეც. — ის კი უდარდელად ცხოვრობს, დადის, ლაპარაკობს, იცინის, იქ-ჩებ სხვა ვინმესაც შესციცინებს თვალებში. მე კი... როგორ ვიტანჯები. იქნებ მართალიც იყო. ვისაც შვილი არა



წყავს, განა თავს იკლავს? ბავშვის გულისათვის შემოხვეულობრივი უნდა გავიღო ჩემი პატიოსნება, სინდისი. პხალგაზრდა აღარა ვარ. ბავშვის გაჩენა განა ადვილია. ვაითუ ვერც გადავიტანო. მაშინ ბედნიერი არც ბავშვი იქნება. ახია მაგაზეო, იტყვის ხალხი შეუბრალებლად. სანამ გვიან არ არის, ჯობია ექიმს მივმართო”, — ფიქრობდა მზია.

იგი სწრაფად წამოხტა, ძალა მიეცა, ოთახიდან გავარდა, ქუჩა სირბილით გაიარა და ერთი სახლის ჭიშვართან შედგა. ვედროებით ხელში მამაკაცი შემოხვდა.

— მზია, მობრძანდით, მობრძანდით! ასე დილაადრიან რამ მოგიყვანათ, — ვალოდიამ ვედროები მიწაზე დადგა.

— ანა შინ არის?

— დიახ, შინ არის.

ანა შეილოშეილთან ერთად ვალოდიას სახლში ცხოვრობდა, მისი მდგმური იყო.

ზიამ დააკაკუნა. კარი გააღო შუახნის გამხდარმა, მკვირცხლმა ქალმა.

— მზია, შემოღი, ახლავე ჩავიცვამ, — უთხრა ანამ და მეორე ოთახში გავიდა. მან მშვენივრად იცოდა მზიას მოსვლის მიზეზი.

ბუხართან ახალგაზრდა ქალი იჯდა.

ამასობაში ვალოდიაც დაბრუნდა.

— ჩემი ქალბატონი შეუძლოდაა, წყალს მე მათრაქე ინებს, — სიცილით თქვა ვალოდიამ.

— შეუძლოდა ხართ? — მიმართა მზიამ ახალგაზრდა ქალს.

— აბა, როგორ გითხრათ... — ქალი დაიბნა და უფრო მეტად გაწითლდა, შემდეგ მძიმედ წამოდგა.

— პოლ! — თქვა მზიამ.

— თუ ბიჭი არ გაუჩნდა, ვაიძულებ ერთბაშად იმდენით წყალი მოიტანოს, რასაც მე ამ ხნის განმავლობაში ვზიოდავდი, — გაიხუმრა ვალოდიამ და გავიდა.

— შვილები არა გყავს? — ჰკითხა ქალმა მზიას.

— არა. ეს ბედნიერება ჯერ არ გამომიცდია.

— ბედნიერება კი არა, ცბილის ტკიფილია. ეს... უკვე მესამეა. მეტი აღარ მინდოდა, მაგრამ...

— რატომ?

— იმიტომ, რომ შინ ჯდომა მომბეზრდა, უნდა მოწყვეტებაზოგადოებას, მეგობრებს. ჩემს ვაჟბატონს კი აუცილებლად ვაჟი უნდა.

— ბავშვები სად არიან?

— ერთი სოფელშია დედაჩემთან, მეორე — საბავშვო ჟაღში, აბა მათი მოვლა ვის შეუძლია. ვაკუა, (როგორც ჩანს, ქალი ასე ეძახდა ქმარს) დახრა არ შემიძლია, ქვაბში წყალი ჩაასხი და ცეცხლზე შემოდგი.

— ახლავე, ჩემო ქალბატონო! — უთხრა ქმარმა.

— ერთი გაბედე უარის თქმა! — გაეხუმრა ცოლი.

მზიას გული მოუკვდა, როცა თავისი მდგომარეობა ამ ახალგაზრდა ქალის მდგომარეობას შეადარა. ამ დროს ანაც შემოვიდა.

— აბა, წავიდეთ, მზია!

მზია ადგა.

— სირცხვილი არ არის, ასე უპატივცემლოდ რომ გიშვებთ? — უთხრა ვალოდიას მეუღლემ.

— გმადლობთ. რა საჭიროა...



ანა და მზია სწრაფად მიდიოდნენ. მზია უგულუბლებელი იყო. ანა გრძნობდა ამას და ხმას არ იღებდა. განვითარება

ბაღში მერხზე ახალგაზრდები ისხდნენ, მზია რომ და-ინახეს, ერთმანეთს გადახედეს. „იქნებ შამილის ამხანაგე-ბი არიან“, — გაიფიქრა მზიამ.

— სად ცხოვრობს? — მიუბრუნდა ანა მზიას.

— კვერის ბოლოში.

— ხარ მასთან ნამყოფი?

— რა მინდოდა.

სკვერის ბოლოს, ქუჩაში, ორი ბავშვი ერთმანეთს ეჩ-ხუბებოდა:

— ეს ეტლი ჩემია, მამამ მე მიყიდა, — ეუბნებოდა თეთრქუდა გოგონა. ბუთხუზა შავგვრემანი ბიჭუნა კი გო-გოს ხელიდან ართმევდა საბავშვო ეტლზე გამობმულ-თოკს.

— დედა, ერთი შეხედე, რას შვრება! — აზლუქუნდა გოგონა.

— ბაღში შედით, შვილებო, — მოისმა ვიღაცის ალერ-სიანი ხმა. ალბათ დედა იყო.

„შვილზე დიდი ბედნიერება რა არის!“ — მზია შეყოყ-მანდა.

— მზია, მოდი უკან დავბრუნდეთ. შეხედე ბავშვებს... თქვენი ცაცების ჭირიმე, თავს შემოგევლეთ... — ანა ბავშ-ვებისაკენ დაიხარა. ბავშვებმა ჩხუბს თავი მიანებეს და უნ-დობლად შეხედეს ქალებს.

— დავბრუნდეთ, მზია. ცოდვას ნუ ჩაიდენ, მით უმე-

ტეს, შენ თვითონაც გინდა. ერთი კვირა კიდევ მოიცავდე
თუ შამილი არ დაგიბრუნდა, მაშინ მოვიდეთ.



— არა, ანა.

— რატომ?

— რატომ... რატომ...

— მზია, რა გემართება?

— გთხოვ, ამაზე მეტს ნუღარ ვიღაპარაკებთ. შენ ახ-
ლა ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი ხარ. ჩემი დე-
დაც, მამაც, დაც...

— დედად უნდა მიგულო. შენი პირველი ქმარი, საწ-
ყალი შაგუ, ჩემს ხელშია გაზრდილი, —ამოიხერა ანამ.

„შაგუ, ანა!.. შამილი!.. ექიმი!“ — ამ სიტყვებს უთავბო-
ლოდ იმეორებდა მზია გულში. ნაბიჯს აუჩქარა. აი, კარიც,
ზედ პატარა ფირფიტაა მიკრული. ექიმს არავინ ელოდება.

— ანა, შენ აქ დაჯექი და დამელოდე.

— რა გაეწყობა, წადი. ღმერთმა გაპატიოს.

მზია ექიმის კაბინეტში შევიდა.



მუშაობის დამთავრების შემდეგ შამილი ქუჩაში გამო-
ვიდა. ვერავის ამჩნევდა, მისი ფიქრები მზიას დასტრია-
ლებდა.

პირველსავე ფარდულთან მივიდა.

— ორასი გრამი! — მიმართა ჩასუქებულ ქალს.

— ღვინო თუ კონიაკი?

— არაყი. ღვინოს ჩვენში გრამობით არ ყიდიან!

ქალმა არყით სავსე ჩაის ჭიქა გაუწოდა და შამილმა

სულმოუთქმელად გადაპერა. ფული გადაიხადა. გულ-შე
ცელში თითქოს ცეცხლი გაუჩნდა, ხელისგულით, ჭავჭავი
მოიწმინდა და მხრებჩამოყრილი წავიდა.

— ეჭ, ახალგაზრდობას რა სჯობია, სისხლი უდუღთ.
ორასი გრამი წყალივით გადაპკრა! — შენიშნა დაბალმა
მოხუცმა კაცმა, რომელიც იქვე ფარდულთან იდგა.

შამილმა მზიას ეზოს ჭიშკარი გაალო.

შამილს სამი ღამე ადამიანურად არ სძინებია, მძიმე ფიქრები სტანჯავდა, თვალებიც ჩაუცვივდა, ქუთუთოები დაუსივდა, სახე გაუფირდა.

შამილი კიბეზე ავიდა, ხელი ასწია, რომ დაეკაუნებინა, მაგრამ წამსვე შენიშნა ყარზე დადებული კლიტე. მძიმედ ამოიოხრა და კიბეზე უკანვე ჩამოლასლასდა.

აღარ იცოდა, რა ექნა. თავში ყველაფერი აერ-დაერია. „ნეტა სად წავიდა მზია, ვისთან არის? კინოში არ წავიდოდა, ახლა ამისთვის არა ცხელა. ერთიც ვნახოთ და თავს რამე აუტიხა?!” — ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

კილაჭამ შამილი განზე გასწიო.

— ჩემო ძმაო, შენ თუ სიცოცხლე მოგბეზრდა, მე მა-
ცნევ შემიძრალი. ვაი უბედური დედაშენის ბრალი!

— ვინ გითხრა, რომ სიკოცელი მომბეჭდა?

— გაშ. მანქანის ქვეშ რატომ მიძღვნიპი?

— მაპატიე! — შამილი მძღოლს მოშორდა და ტრო-
ჭიარს გულება.

— არც ბრმაა და არც ყრუ! — მძღოლმა მხრები აიჩე-
რია და მანქანაში ჩაჯდა.

„გავუვლი ნარსოუს და მზიასთან წავიყვან,“ — გადა-
წყვიტა შამილმა.

შამილის შეებულებაში ყოფნის დროს ნარსოუს შვილი
შეეძინა. უსაჩუქროდ მისვლა ეუხერხულა.

შამილი უნივერმალისკენ გაემართა. იქ ნაცნობი ქალი-
შვილები მუშაობდნენ, ხეირიან საჩუქარს შემარჩევინებე-
ნო, — გაივლო გულში.

— ტუჩის გარმონი უყიდე! — შესთავაზა ერთმა.

— თუ გინდა, საბავშვო ეტლებიც გვაქვს! — ურჩია
მეორემ.

ამ დროს შამილმა მზია დაინახა. იგი იქვე მოპირდაპი-
რე მხარეს იდგა და შამილს უყურებდა. უცბად თითქოს
ბიჭულარე გადაასხესო, მზია შეტრიალდა და გასასვლელი-
საკენ გაქანდა. შამილს უნდოდა უკან დასდევნებოდა, მაგ-
რამ უხერხული ეჩვენა, თან ნაცნობ ქალიშვილებსაც მოე-
რიდა.

— სხვა მაღაზიაშიც შევივლი, თუ შესაფერი ვერაფერი
ვნახე, ისევ მოვბრუნდები, — უთხრა შამილმა ქალიშვი-
ლებს და გავიდა.

მზია ნელა მიდიოდა.

— მზია! — დაუძახა შამილმა.

მზიას თითქოს არ გაუგონია.

— მოიცა, მზია!

მზია შეყოყმანდა, მაგრამ უკან მაინც არ მიუხედავს.
შამილმა ნაბიჯს აუჩქარა, მზია შეჩერდა, რომ ფეხსაცმელ-
ზე ყაითანი გაესწორებინა. „განგებ გაჩერდა!“ — გაუელვა
თავში შამილს.

— საღამო მშვიდობისა! — თავი დაუკრა შამილმა.

მზიამ არ უპასუხა, წელში გაიმართა და ისევ უნივერ-
მალისკენ იბრუნა პირი.

— ნუთუ პასუხის ღირსი არა ვარ? — განაგრძო შა-
მილმა და უკან გაჰყევა. შამილი გრძნობდა, რომ დამატებულ
ეუბნებოდა, რაც მზიას გაციებულ გულს მოულბობდა.—
მე ხომ ისეთი არაფერი ჩამიდენია, რომ დამმდურებოლი!—
არ ისევენებდა შამილი.

უნივერმალის შესასვლელში მზიას წარმოსადევი მაი-
ორი შეეგება.

— მომიტევე, მზია, გალოდინე. აი, რა ვიყიდე, როგორ
მოგწონს?

მზიამ ოფიცერს მკლავი გამოსდო, მხიარულად და-
უწყო საუბარი, თან მის ნავაჭრს ათვალიერებდა. ისინი
ჩაღაზიდან გამოვიდნენ და გზა განაგრძეს. შამილი ერთ
ადგილზე მიჯაჭვულივით იდგა. მზია ისეთი შორეული ეჩ-
ცენა, როგორც ის მზე, მაღლა ცაში რომ ანათებდა.



შამილმა ახალი ბინა მიიღო, ახალი მეზობლები გაუჩ-
ნდა, მაგრამ პირადი ცხოვრება უწინდებურად მოუწყობე-
ლი ჰქონდა.

ხშირად თავის თავს კიცხავდა: „ყველა მამაკაცი ერთ-
ესირია. თუ ქალი მოგვეწონა, ავედევნებით, ვცდილობთ
ერთი სიტყვა მაინც დავაცდენინოთ, შემდეგ ვეკითხებით
სახელს, სახელს გავიგებთ, ახლა—გვარს. თუ ხელი ჩამო-
გვართვა, ვცდილობთ კისერზე მოვეხვიოთ, მაგრამ არც
ამით ვკმაყოფილდებით, სიყვარულს ვეფიცებით... შემდევ
სხვაზე გადავინაცვლებთ ხოლმე. თუ გინდ მასზე ნაკლები
იყოს, მაგრამ მაინც სხვაზე. მეც ასეთ მამაკაცთა რიცხვს

ვიკუთვნი. ახია, ჩემზე. დედა! მამა! სიცოცხლე იმათ მოა-
ცეს, მაგრამ მათვე წამართვეს. მზია უწინდებურად უშორის ვარს. ვინ არის დამნაშავე, რომ თვალისდასანახავად შე-
ძიძულა? მე! ისევ მე. მე მას ჭრილობა გავუმიზეზე. გამი-
ზეზებული ჭრილობა კი ძნელად ხორცდება. პირდაპირ
ცეცხლზე მდუღარე დავასხი.“

ფიქრში გართულს რამდენჯერ წარმოუდგა, თითქოს
მზია მისი მეუღლეა. იგი ოთახებში დაფუსფუსებს, ლო-
გინს ასწორებს, იატაკს წმენდს. აი, ფანჯრები გააღო,
მზემ ოთახში შემოანათა, ზერე მეორე ოთახში გავიდა,
ხელში ბავშვი უჭირავს. ბავშვი, წყლის ორი წვეთივით
ჰგავს შამილს. პატარამ მამა რომ დაინახა, გაიღიმა. ჯერ
ლაპარაკი არ იცის, მზიამ და შამილმა ერთმანეთს შეხე-
დეს. შამილი მიხვდა, რისი თქმაც უნდა მზიას: „შენთვის
რომ დამეჯერებინა, ეს პატარა არ გვეყოლებოდა!“ მზიას
სიხარულის ღიმილი დასთამაშებს სახეზე. დღეს კვირაა,
შშენიერი დარი დგას. მშობლებთან წავალთ, გავახარებთ
დღე-მამას, მეზობლებს...“

...მწვანე მანქანა ეზოში შეგრიალდა. შესახვედრად შა-
მილის მშობლები გამოცვიდნენ. „ბიჭი რომ არ ჩამოგეყ-
ვანათ, შინ არ შემოგიშვებდით“, — იცინიან გახარებული
მოხუცებულები.

ეზო სიხარულით აივსო. მზიამ ყველას საჩუქრები ჩა-
მოურიგა. „თქვენ შემოგევლეთ, შვილებო!“ — იძახის დე-
და. „თქვენი ჭირიმე“, — მოისმის მამის ხმა. სიხარულია
მშობლიურ კარ-მიდამოში. აი, ასეთ სიხარულზე ოცნებოდ-
და იგი.

...ვიღაცამ კარზე დაკაკუნა. შამილი ოცნებიდან გამო-



ერკვა, ლოგინიდან წამოხტა, კარი გააღო, შვეიცარიუსან
მთლად გალუმპული ვიღაც მთერალი მამაკაცის ფერზე
ძლივს იდგა.

- საღამო მშვიდობისა! — უთხრა მან.
- მშვიდობა ნუ მოგიშალოს!
- შამილ მარჯება შენა ხარ?
- მე გახლავარ!
- ეს წერილი შენთან გამომატანეს, — გაუწოდა სამ-
კუთხედად დაკეცილი ფურცელი შამილს.

შამილმა ფურცელი გახსნა და წაიკითხა: „დამშვიდდი,
შენი სურვილი შევასრულე... ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ.
მზია“.

- სად არის? — შამილს მუხლი მოეკვეთა.
- სადგურიდან მოვდივარ, გავაცილე, — უთხრა მო-
სულმა.
- სად წავიდა?
- მოსკოვის მატარებელში ჩაჯდა. მეტი არაფერი ვი-
ცი. ღამე მშვიდობისა. — უცნობი წავიდა.
- ა-ა-აპ! — შამილმა თავზე ხელები იტაცა და სა-
წოლზე დაეცა. კვნესოდა და ბორგავდა შამილი. გარეთ კი
კოკისპირულად წვიმდა.

●

მზია თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, არაფერი ისმოდა. შა-
მილმა რამდენჯერმე შეიარა მზიასთან, მაგრამ იქ უწინ-
დებურად სიხარულით როდი ხვდებოდნენ. მზიამ სახლში
თავისი ნაცნობი ქალი და მისი შვილიშვილი ჩაასახლა.

— ახალი რა იცით, წერილი არ მოუწერია? — 
თხებოდა შამილი.

— არა, შვილო, არა. მზია წერილებს არ იწერება, —
აასუხობდა მოხუცი. მოხუცის შვილიშვილი კი სულ თევ-
ზაობაზე ლაპარაკობდა. შამილი შინ ნაღვლიანი ბრუნდე-
ბოდა ხოლმე.

მეზობლები უწინდელზე უფრო მეტად ჭორაობდნენ:

— შეხედეთ, შეხედეთ, ისევ მოვიდა...

— ვაი, ეგ უბედური! იმის მეტი ქალი არ არის, თუ...

— ეგ რომ კარგი კაცი იყოს, მზია სხვას არ გაჰყვე-
ბოდა.

— რა იცი, გათხოვდა, ვინ ვითხრა?

— აბა, მარტო ქალი სად წავიდოდა?

— ქალმა თუ მოინდომა, ცხრა უღელი ხარი ვერ დაი-
ჟერს.

— თქვენ მეტი არაფერი იცით? თუ საქმე არა გაქვთ,
აგერ იმ სახლის მშენებლებს აგური მაინც მიაწოდეთ, —
შეარცხვენდათ ბოლოს რომელიმე მეზობელი.

●

შამილს რა ხანია მშობლები არ ენახა. „იმათ გამზარ-
დეს და იმათვე დამღუპეს“, — ამბობდა ხშირად. სმას
მიჰყო ხელი. გულის შეტევებიც გაუხშირდა. მუდამ უგუნ-
დო და თავისი თავისი უკმაყოფილო იყო.

დრო გავიდა. ხეებს ფოთლები დასცვივდა. შემოდგო-
მის ჭენჭეყო ზამთრის ყინვებით შეიცვალა. კვლავ დადგა
გაზაფხული...



დრო საუკეთესო მკურნალია.

შამილი თუმცა ადრე ამბობდა, ქალს აღარ შევიტრია, მაგრამ ცოლი მალე შეირთო. იგი სილამაზით მზიას არ ჩა-მოუვარდებოდა, მშვიდი და მორჩილი იყო.

— გამიკეთე, რაც გთხოვე? — გასძახებდა ხოლმე შა-შილი.

— ჰო, — პასუხობდა იგი.

— გიყვარვარ? — ეკითხებოდა, როცა მთვრალი იყო.

— ჰო.

— დღეს კინოში უნდა წავსულიყავით, მაგრამ კრება გვაქვს, ხვალ წავიდეთ...

— კარგი.

— ჩემთან სტუმარი მოვა, აბა, შენ იცი, დატრიალდი...

— კარგი.

„კარგი“, „ჰო“, „როგორც შენ გინდა“, „გავაკეთებ“, — ყველაფერზე ასე მოკლედ პასუხობდა იგი.

„რაც გინდა, ის გააკეთე, რაც გინდა, ის მითხარი, მო-მექეცი ისე, როგორც საჭიროდ სცნო, მხოლოდ ჩემთან იყავი“, — ეუბნებოდა ცოლის თვალები. შამილის სიტყვა ცოლისთვის კანონი იყო. ბოლოს და ბოლოს, შამილი შე-ეჩვია ამას და არც არაფერს ეკითხებოდა.

„ჩემი ცხოვრება რაღაცნაირად აწყობილად მიდის. ჩვენ არც ვჩხუბობთ, არც ვიცინით,“ — ფიქრობდა ხშირად შამილი. როცა გულის შეტევები ჰქონდა, ცოლი თავისით წამლის მიცემასაც ვერ ბედავდა. ქმარს თვალებში შესც-ეროდა.

შამილს იგი ამ მორჩილების გამო ებრალებოდა, მაგ-რამ არ უყვარდა. ცოლი სიყვარულით არც შეურთავს.

— მთვრალი როცა ვარ, გიყვარვარ? — პკითხა ციფრული განვითარების სამინისტრო

— შენ თუ გიყვარვარ, როცა მთვრალი ხარ? — უპა-
სუხა ცოლმა კითხვაზე კითხვით.

— მაშინ უფრო მიყვარხარ.
— მეც ასევე... — ჩაილაპარაკა ცოლმა.
— მაშ, როგორ მირჩევ, დავლიო ხოლმე? — დაინტე-
რესდა შამილი.

— თუ შენთვის სასარგებლოა, დალიე.
— არა გწყინს?
— არა. მე მწყინს ის, რაც შენ გწყინს.
— მამაშენი სვამდა?
— მამა არა სვამს.
— დედინაცვალი კარგად გექცეოდა?
— წელს რომ მე ინსტიტუტში არ შევსულიყავი, იცი,
სად ვიქნებოდი?
— სად?
— მიწაში! — უთხრა ცოლმა.

●

ერთ დღეს შამილი ისევ მიადგა მზიას ეზოს, იქნებ
რაიმე გავიგოო.

— რაღა გესაქმება, შენ ხომ ცოლი შეირთე? — გამო-
ეხმიანა მოხუცი ქალი.
— მზიაზე ახლობელი მეგობარი არა მყავს.
— შენ რომ მას პატივს სცემდე, მაშინ არც ასე მოექ-
ცეოდი.

- როგორ მოვექეცი?
- მე ყველაფერი ვიცი. ექიმთან მე წავყევი. შეგადა-
ცრემლიანი შევიდა, იქიდან კი გაცინებული, გახარებული
გამოვიდა, რადგან თავს სძლია.
- მაშ, ახლა სად არის, ისიც გეცოდინება.
- დიახ, ვიცი, — უპასუხა მოხუცმა ქალმა.
- „შე უღმერთო, აქამდე რატომ დუმდი,“ — გაიფიქრა
შამილმა.
- სად არის?
- მოსკოვში. ძალიან კარგ ახალგაზრდას გაჰყეა ცო-
ლად. განათლებულია, წარმოსადევი, გულისხმიერი, შეძ-
ლებული, ხელისგულზე ატარებს.
- მომეცი მისამართი...
- მისამართი რაღად გინდა? მალე შვილი უნდა ეყო-
ლოს.
- შამილი თავჩაქინდრული გაბრუნდა უკან. ეს დღე იყო
და მზიას სახლისკენ აღარ გაუხედავს.



- წელიწადნახევრის შემდეგ ხმა გავრცელდა, მზია დაბ-
რუნდაო. მზიას ნაცნობები ერთმანეთს ეკითხებოდნენ:
- როგორ გამოიყურება?
- საუცხოოდ.
- მარტო დაბრუნდა?
- ჰო, ქმარი იქ დარჩენილა.
- რატომ?
- ერთმანეთს გაშორებიან.

- გასაოცარია, ბედი არ სწყალობს.
- სამაგიეროდ, ბავშვი ჰყავს ისეთი, ჩაყლაპავ.
- მართლა? ჰოდა, მადლობა ომერთს. თავს მაგით და-იმშვიდებს, ბავშვები ძალიან უყვარს...

მზიას ახლო ამხანაგები, მეგობრები მასთან ხშირად დადიოდნენ, ანუგეშებდნენ.

ერთ საღამოს მზიამ და ანამ ბავშვი სასეირნოდ წაი-ყვანეს. ისინი ფართო მოასფალტებულ გზას გაჰყვნენ. მზია ისე გაკვირვებული ათვალიერებდა საყვარელ ქალაქს, თითქოს პირველად ხედავსო...

სანამ მოსკოვს გაემგზავრებოდა, ეგონა, ქალაქის გა-ნაპირას ვცხოვრობო, ახლა კი თითქმის ქალაქის შუაგულ-ში აღმოჩნდა. ბავშვი საბავშვო ეტლში იჯდა და ცველას უღიმოდა. გამვლელებიც ალერსიანად უთათუნებდნენ ხელს და ლოცავდნენ: „გაიზარდე, პატარავ, გაიზარდე“. მზია მიდიოდა ამაყად, მტკიცედ, თითქოს ამბობდა: „შე-მომხედეთ, რა კარგი ბიჭი მყავს, მე დედა ვარ, დედა.“

იქ, სადაც უწინ უშენი ადგილი იყო, სადაც შამილი და მზია ერთმანეთს ხვდებოდნენ, ახლა უკვე ბაღი გაეშენები-ნათ, სკამები დაედგათ. მზია და მისი თანამგზავრი მოხუ-ცი ქალი ერთ-ერთ სკამზე ჩამოსხდნენ.

— აქედან რომ წავედი, ამ ლამაზ შენობას საძირ-კელს უყრიდნენ.

— ჰო-ო... მზია, მამაც შეილივით ლამაზია? — ჰკითხა ანამ.

— დიახ, ლამაზია...

— უამისოდ როგორ უნდა გაძლოს.

მზიამ ბავშვის კულულებში სახე ჩარგო.

— მოდი ჩემთან, მოდი, — უთხრა მოხუცმა ქალმა და ხელები გაუშვირა. ბავშვმა მხიარულად გაიწია მისკენ.

— ჰოპ, ჰოპ! შენ კი გენაცვალე, რა კარგი ხარ!

— ატაა! — უღურტულებდა პატარა, თან დედას შესცემეროდა.

ამ დროს მათკენ გამოემართა შავად ჩაცმული ხნიერი ქალი და მერხის კიდეზე ჩამოჯდა.

— ატაა, ატაა... — მხიარულად ტიკტიკებდა პატარა.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, — უთხრა უცნობმა ქალმა.

— გმადლობთ, — მადლობა გადაუხადა მზიამ.

— ნან, შენ აფხაზი ხარ?

— დიახ, აფხაზი ვარ.

— კურთხეულ იყავი, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ჯვარი გწერიათ ავი თვალისაგან. ღმერთო, შენ შემიბრა-ლე, — თქვა მოხუცმა და მძიმედ ამოიოხრა.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ჰკითხა მზიამ.

— რატომ მიწა არ დამეყრება, ვიღასთვის ვარ საჭი-რო, — მოხუცს შუბლი დაეღარა სიმწრის ნაოჭებით.

— რა დაემართაო, ასე რატომ კვნესით?

— შვილი მომიკვდა, შვილი. მზე დამიბნელდა, ნან. ღმერთმა მშვიდად სიკვდილი არ მაღირსა, — ძლივს თქვა უბედურმა დედამ.

— ო, წყეული, დაუნდობელი სიკვდილი... თქვენი შვი-ლი რითი იყო ავად, რა დაემართა? — ჰკითხა ახლა ანამ.



— რას ბრძანებთ, ავად არ ყოფილა. ნამდვილი გოლურებისათვი იყო, ვაი მის დედას. სამი თვის წინ აქ, ამხანაგებთან სასადილოში სადილობდა თურმე. რამდენიმე ჭიქა სასმელიც დაულევია...

— მერე?

— მერე, თურმე გულმა უმტყუნა, მაგიდაზე თავი ჩა-მოსდო... და ჩაქრა ჩემი თვალისჩინი.

— უი, რა საშინელება! — შეწუხდა მზია.

— თქვენ აქაური ბრძანდებით? — კვლავ ჰკითხა უბედურ ქალს ანამ.

— დიახ, ჩემი შვილი, აი, იმ ახალ სახლში ცხოვრობდა. ცოლად ახალგაზრდა ქალი შეირთო, მშვენივრად შეეწყვინენ. ნეტა შვილი მაინც დარჩენოდა, თავს იმით ვინუგეშებდი... ახლა მის სახსოვრად ესლა დამრჩა, — თქვა მოხუცმა ქალმა, ცხვირსახოცი გაშალა, თმის კულულები ამოიღო. — მოდი, გენაცვალე, მოდი ჩემთან, მოდი, შენი ჰკირის სანაცვლო ვყოფილიყავი. ღმერთმა შვილიშვილი არ მალირსა, ეს სიხარულიც წამართვა. მოდი ჩემთან, ქოჩორავ, მოდი...

ქალს თვალები ჩასწითლებოდა, ცრემლებით ჰქონდა სავსე. ბავშვება უნდოდ შეხედა და დედას მკერდში ჩაეკრა. ანას გული სასიკეთოს არას უგრძნობდა და მოუსვენრად წამდაუწუმ მზიას შეხედავდა ხოლმე.

— ჩემ შამილსაც პატარაობისას ასეთი თვალები ჰქონდა... — თქვა ქალმა, თან თმის კულულები ცხვირსახოცში გაახვია.

— შამილი?

— ჰო, ჩემს შვილს შამილი ერქვა, შამილ მარუხბა...



მზია თითქოს გაქვავდა, სახე მიცვალებული და დაუკავშირდა
ფიტრდა და ის-ის იყო, უნდა დაცემულიყო, ანამ ხელი
შეაშველა, ცხვირსახოცით სახე მოწმინდა და დაუნიავა.

— ნან, რა დაგემართა, არიქა, ბავშვი არ გაუვარდეს...
შამილის დედამ, კაფამ, ბავშვი ხელში აიყვანა.

— მზია, ახლა როგორა ხარ, მზია! ექიმს დავუძახო?..

— ნუ გეშინია, არაფერი მომივა, — უთხრა მზიაშ ანას
და ძაძებში ჩაცმულ ქალს თვალებში შეხედა.—მაშ, თქვენ
შამილის დედა ხართ?

— მე ვარ, მე უბედური. ნან, ჩემს შამილს იცნობდი?

— აქაური ვარ. პატარა ქალაქია და რა გასაკეირია, რომ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ... ანა, წავიდეთ...

შამილის დედამ წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, — მოხუცს პავშეი
თითქოს სადღაც ენახა, თვალს ვერ აშორებდა. — ღმერთმა
დიდხანს გიცოცხლოს დედა, მამა... — კაფა როგორც იქნა,
წამოდგა და წავიდა. ამდენი ტირილისაგან თვალში სი-
ნათლე დაკლებოდა, ძლივს მილასლასებდა, გეგონებოდათ,
საცაა წაიფორხილებს და დაეცემაო. მას ქობაშემოუტი-
ხავი შავი ქვედა ტანი და შავი წულები ეცვა. — მე ბედშა-
ვი, მე უბედური... მე წყალწალებული... — ბუტბუტებდა
იგი. ცოტა რომ გაიარა, შემობრუნდა. — პირწავარდნილი
შამილია. პირდაპირ პატარა შამილია...

— ანა, წავიდეთ. — მზია წამოხტა, ბავშვი გულში ჩაიხურტა, თითქოს ეშინია არავინ წამართვასო. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

უკვე დამის თორმეტი საათი იყო. მეორე ოთახში პლატფორმაზე და ბავშვებს დიდი ხანია ეძინათ. მზია მწარე ფიქრებში გართული გულაღმა იწვა. „შამილი უკვე აღარ არის, აღარ დადის... არ იცინის... მოკვდა!“ ამ აზრმა მზია შეაძრწუნა. არ სკეროდა, რომ შამილი მოკვდა. დღეს თუ არა ხვალ, მაინც ჩემთან მოვაო, — ფიქრობდა. თვალწინ დაუდგა შუბლზე თმაჩამიყრილი შამილი.

შამილი, რომელსაც მზია უყვარდა, ის შამილი, როგორიც მზიას უყვარდა, მოკვდაო... არა, ტყუილია, ამას როგორ დაიჯერებს მზია!

„რა უიღბლო ქალი ვარ, — ახლა სხვაზე გადავიდა მისი ფიქრები, — ბედი არა მაქვს! განა რამდენჯერ შეიძლება ბედი სცადო? ქალიშვილი პირველად როცა თხოვდება, შეუძლია თქვას — მიყვარსო, მეორედ — მომწონსო, მაგრამ მესამედ... მაინც რამდენჯერ უნდა სცადო ბედი? მთელი ჩემი ცხოვრება სხვისი ხასიათის გაგებაში წავიდე. ვერა და ვერ ვეღირსე ბედნიერებას!“ მძიმე ფიქრებით დაქანცულს, როგორც იქნა, ჩაეძინა. ცივი ბადრი მთვარე პირდაპირ მზიას ფანჯარაში იცქირებოდა, იგი მრავალი ტანჯვისა და სიხარულის მოწმე იყო.

- ანა, შამილის სახლში უნდა წავიდე.
- დღეს?
- ახლავე...

— კარგი. მაგრამ, ის ქალი რომ შინ არ იყოს?

— დღეს შაბათია...

წინა ღამეს მზიამ სიზმარში შამილი ნახა.

„მზია! — მისძახოდა შამილი, — მზია, მაპატიი, მზია... დაუმსახურებლად გაწყენინე, დამნაშავე ვარ... მას შემ-დეგ მე ბედნიერება არ ვიცი. უშენოდ ბედნიერი არა-სოდეს არ ვიქნები. დამიბრუნე გული, რომელიც მე მეკუთ-ენოდა. მზია, ჩემო თვალისჩინო, რამდენი ხანია არ მინა-ხიხარ, რომ იცოდე, როგორ მომენატრე! — და შამილმა ხელი მოხვია.

— გამიშვი, გამიშვი, ხალხი გვიყურებს, სირცხვი-ლია... — ეუბნებოდა მზია და ტიროდა.

— ბედნიერება სირცხვილი როდია! ჩემო მზია! ნუ ტირი, როცა შენ თვალცრემლიანს გხედავ, გული მტკი-ვა.“ შამილი თვალებს უკოცნიდა.

მზიას გამოეღვიძა, გული საშინლად უძგერდა.

●

ისინი ხუთსართულიანი სახლის ერთ-ერთ სადარბაზო-ში შევიდნენ.

— რომელ სართულზეა?

— პირველ სართულზე.

— აი, მისი ბინაც, — უთხრა ანამ. — კარზე ვერთა ფირფიტა წარწერით — შ. მარუხბა.

მზიას თვალებზე ცრემლი მოადგა: ვინც არ იცის, შეიძ-ლება იფიქროს, საჭიროა ზარის ლილაკზე მხოლოდ ხელის დაჭერა და ბინის პატრონი კარებში გამოჩნდება. გული



საგულედან ამოვარდნას ლაშობდა. „ამ ფირფიტამაც კი
მასზე დიდხანს გაძლო!“ — აერია მწარე ფიქრები მწერლის
სიტყვა „მოკვდაზე“ მეტი განაცდევინა ფირფიტაზე ამო-
ტვიფრულმა ამ ცივმა ასოებმა.

ანამ ზარი დარეკა. კარში გასაღებმა გაიჩხაკუნა, კარი
გაიღო, გამოვიდა ძაძებში ჩაცმული ტანადი ახალგაზრდა,
ფერმკრთალი ქალი, კაბა ტანზე ისე ეკიდა, თითქოს სხვი-
სიაო. იგი უხმოდ იდგა.

— თქვენთან მოვედით, — უთხრა ანამ და შევიდა, მას
მზიაც მიჰყვა.

— აი, აქ ცხოვრობდა უბედური შამილი, — დაიწყო
ანამ. — ხეირიანად ვერც მოწყობა მოასწრო... დაჯიქი,
ნან. ფეხზე რატომ დგახარ.

— არაფერია, ვიდგები... — უთხრა ახალგაზრდა ქალმა.

— ნან, ეს ქალი შამილის მეგობარია. დიდი ხანი არ
არის, რაც მოსკოვიდან ჩამოვიდა. შამილის სიკვდილი ძა-
ლიან ეწყინა. თქვენთან სამძიმრის სათქმელად მოვიდა.

— რატომ შეწუხდით... ამხანაგებიც დატანჯა და თა-
ვიც დაიღუპა, — თქვა ახალგაზრდა ქალმა. ისე ლაპარა-
კობდა, ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს თავის სიცოცხლეში
არასოდეს უტირიაო. მის დიდრონ, ღრმა თვალებში სიცი-
ვე ჩამდგარიყო.

— შენი დედამთილი წავიდა?

— აბა, აქ რა უნდა გააკეთოს? წავიდა. მაინც რამდენ
ხანს მიდარაჯებს?

— ბედისწერაა ყველაფერი, ბედისწერას ვერ გაექ-
ცივი.

— მისი ბედისწერა ღვინო იყო.

— პო, მესმის, შვილო, სიმწარე რას არ გათქმევა-
ნებს... — უთხრა ანამ, გულში კი გაივლო: „ღმერთობრივი და-
დაგვიფარე! როგორ გამოცვლილა. მორჩილი, მორცხვი ქა-
ლიშვილი რა უხეშ დედაკაცად ქცეულა“.

თვალს ყოველთვის როდი შეუძლია იმისი დანახვა, რაც
ადამიანების სულსა და გულში ხდება. თვალს რომ ამისი
დანახვა შეძლებოდა...

— თქვენი ბინა რამდენ ოთახიანია? — ჰქითხა მზიამ.

„რას ამბობს?“ — ანამ გაოცებით შეხედა.

— სამიანი.

მზია წამოდგა და პირდაპირ საწოლი ოთახისკენ ვაე-
მართა. იქ გვერდი-გვერდ ორი საწოლი იდგა. კედელზე
გაკრულ ხალიჩაზე შამილის სურათი ეკიდა. იგი ვიღა-
ცას ულიმოდა, თმის კულული შუბლზე ჩამოშლოდა. მზიას
თვალები ცრემლით აევსო. ყელში რაღაც მოებჯინა.

— ანა, წავიდეთ... — თქვა მზიამ, — აქ ყოფნა აღარ
შემიძლია.

— კარგი, წავიდეთ. ხელი შეგიშალეთ... ნან, სულით
ნუ დაეცემი.

ისინი გავიდნენ.



გაზაფხულმა ჯადოსნურად მოხატა ქვეყანა. ნაყშიანი
ხალიჩებით მოპფინა სივრცეები. ირგვლივ გაზაფხულის
საამო სურნელი ტრიალებს, თითქოს ახალგაზრდა საპა-
ტიარძლოს საგანგებოდ სუნამო უპკურებიაო. ბულბულები
ტკბილად გალობენ. ბუნებამ გაიღვიძა, ისე, როგორც დაღ-

მილ-დაქანცული ადამიანი ჯანსაღი, მაგარი ძილის შეემ
ჩეგ იღვიძებს ხოლმე.

გაზაფხულზე ადამიანებიც უკეთესდებიან. თავისდა შე-
უმჩნევლად გულებიც ფართოდ ეხსნებათ ხოლმე.

სოფლის შარაგზაზე მწვანე „ვოლგა“ მიჰქროდა. მან-
ქანის თვლები ხვინჭყას მიწაზე ატკეპნიდა, დიდ ქვებზე კი
ხტოდა.

მანქანამ მინდორი გადაკვეთა და შეღმართს შეუდგა. მარტუხბას ოჯახი სერის მარჯვენა მხარეს სახლობდა.

შოფერს მანქანა დიდი სისწრაფით მიჰყავდა, მაგრამ შეღმართში სვლა შეანელა. მანქანა სერზე ავიდა თუ არა, მარჯვნივ გაუხვია. მზიამ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურად-
შება იმ გზას, რომელიც გაიარეს. გზა მოქნეული თოკი-
ვით იყო დაკლაკნილი.

— ხომ არ მოვედით? — იკითხა ანამ.

მძღოლი მანქანიდან გამოვიდა, წინა თვლები დაათვა-
ლიერა და საბურავებს ქუსლი დაჰკრა.

ნაჯახის კაკუნი მოისმა.

— მზია, გადმოვიდეთ. მოდი, ჩემო ბიჭო, ჩემთან! —
ანამ მზიას ბავშვი გამოართვა. მჭიდროდ მიხურული ჭიშ-
კარი გააღეს და ეზოში შევიდნენ. ჭიშკრის ჭრიალზე დი-
ჭი მწითური ძაღლი გამოხტა. შოფერი ღობისკენ გაქანდა
და თოხს დაავლო ხელი.

ძაღლი არავის სცემია, მაგრამ გაავებული კი ყოფდა.
ჯველაზე მეტად თოხმომარჯვებულ შოფერს უღრენდა.
ძაღლებმაც იციან, საფრთხე საიდან მოელით.

— ისეთი რა ნახე, რომ აღარ ჩერდები?! — მოისმა მა-
მაკაცის რიხიანი ხმა. ბოსტნის ალაგეს გადმოევლო მაღა-

ლი, ხანში შესული კაცი, რომელსაც ნაბდის ქუდი ენურა. / ეზოში ხალხი რომ დაინახა, წალდი გადააგდო, ხელებზე და იწმინდა, ტანსაცმლიდან ბურბუშელა ჩამოიბერტყა და სტუმრების შესაგებებლად გაემართა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დად!

— თქვენც სიკეთე ნუ მოგეშალოთ!

მამაკაცმა მოსულებს ხელი ჩამოართვა. მას დიდი და დაძარღვული ხელები ჰქონდა.

— აქეთ მობრძანდით, დად, აქეთ! — გაემართა იგი სახლისკენ.

— ბოდიშს ვიხდი, ბადრა მარუხბა აქ ცხოვრობს? — ჰკითხა შოფერმა.

— დიახ, დად, ბადრა მე ვარ...

ეზო აბრეშუმიგით ნაზ ბალახს დაეფარა. გაზაფხულს აემწვანებინა ხეხილი. ბებერ ქერქშემომსკდარ ხესაც კი მორეოდა და ისე შეეფოთლა, ნორჩი ხეებიდან არაფრით გამოირჩეოდა.

„შამილმა ბავშვობა ამ სახლში გაატარა... ამ ხეების ჩრდილში არა ერთხელ ჩამომჯდარა... ბევრჯერ მოქცევია ტანმაღალ ხეებს კენჭეროში. ვინ იცის, რამდენჯერ შეუღია ამ სამზარეულოს კარი.“ მზია ჩაფიქრებული მიდიოდა.

ისინი ოდის კიბეს მიადგნენ. კიბის ქვეშ კარავი იდგა.

— ამობრძანდით, — მიმართა სტუმრებს ბადრამ.

— ანა, ნუ ავალთ, — წასჩურჩულა მზიამ ანას.

— არ ამოვალთ. ესენი უბედური შამილის ამხანაგები არიან. მისი საფლავის ნახვა უნდათ.

— დიდხანს იცოცხლეთ, დად. — თქვა მამამ. — მისი

შემხედვარე მაშინვე იტყოდა, რომ ეს კაცი ბევრის მნახული უნდა ყოფილიყო. მან მძიმედ ამოიხსრა და მტკიცებულება რები იმ ალაგესაკენ წაიყვანა, სულ ცოტა ხნის წინ თვითონ რომ გადმოევლო. ალაგეს იქით ხეხილს შეა შამილის საფლავი იყო. საფლავს ქვიშა ჰქონდა მოყრილი, გარშემო ფიცრები შემოეწყოთ, თავთან ხის ჯვარი დაედგათ საფლავი თეთრი ქვებით შემოერავათ. შრგვალ მაგიდაზე შამილისათვის დოქით ღვინო და საუზმე ეწყო.

— აი, დად, ჩემი შვილის ახალი საცხოვრებელი! — თქვა ბადრამ მწარედ.

მზიას ტუჩები უთროთოდა. თავი ვერ შეიკავა და ცრემლი წასკდა.

— შენთან, ასეთ ახალგაზრდასთან სიკვდილს რა უნდოდა, რატომ ჩვენ, მოხუცებს, არ დაგვეყარა მიწა. — ანაში საფლავთან ჩაიმუხლა, მიწას ხელი ალერსით გადაუსვა.

მზიას უნდოდა ეყვირა, შამილ, მოვედიო, მაგრამ შიში, იმის შიში, რას იტყვიანო, ბორკავდა. ბოლოს გული აუდუღდა და საფლავს ქვითინით დაემხო. ეგონა, შამილის მკურდზე დაყრილი სილა ისეთივე თბილი იქნებოდა, როგორც ოდესლაც მისი გული.

ბადრა განზე გადგა. ლოყებზე ცრემლები სდიოდა, სახის გამომეტყველება კი ისევ კუშტი ჰქონდა. ალბათ ასეტირიან ვაჟკაცები.

...ბავშვი შოთერს ეჭირა. პატარა გაოცებული შესცემოდა ხან ატირებულ დედას, ხან ანას.

— ნათელი დააღეს შენს სულს, შამილ... — მოთქვამდა ანა, თან სილიდან ხვინჭკას არჩევდა. — აი, მზია მოვი-



რა, შენი მზია... — ხმას დაუწია, თითქოს სურდა, ეს მზია-
სა და შამილის მეტს არავის გაეგონა.

— საბრალო, შამილ... წამებულო... ცივ მიწაში წევ-
ხარ. ჩვენ ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ. სინათლეს ვეღარ
იხილავ, გაზაფხულს ვეღარ შეხვდები... — ჩურჩულებდა
მზია და ცრემლი ღაპალუპით ჩამოსდიოდა.

— წამობრძანდით, დად, წამობრძანდით...

მახლობლად შაშვი გალობდა. პატარას ყურადღება ახ-
ლა შაშვმა მიიქცია.

— ატაა... ატაა! — მხიარულად ტიკტიკებდა ბიჭი და
პატარა ხელს ხან გზისკენ იშვერდა, ხან საფლავისაკენ.

— შენ შემოგევლე! მოდი ჩემთან, — მიეყვავილა ბად-
რა. — ბავშვმა ხალისით მაშინცე მისკენ გაიწია. — ჰაი,
დად, შენი ჭირი შემეყაროს. — მოხუცი, რომელსაც გეგო-
ნებოდათ ამქვეყნად ვერაფერი გაახარებსო, მთლად გაიბად-
რა, თითქოს მზემ შეანათაო. — შამილს რომ ასეთი ბავშვა
დარჩენდა, რალა მიჭირდა... უბედურებას შევეჩივიე,
ფრონტზე სამი ძმა დამეღუბა, ახლა ერთადერთი ვაჟი დავ-
მარხე და მაინც ცოცხალი ვარ. ეჲ, ყველაფერი ბედია. ალ-
ათ ასე გვეწერა, — ბადრა ოდისკენ წავიდა. ბავშვი მკერ-
დზე ჰყავდა მიხუტებული.

— თქვენი მეუღლე სად არის? — ჰყითხა ანამ.

— წევს, შენი ჭირი შემეყაროს.

— რა სტკივა?

— უბედურმა შვილის სიკვდილი ვერ აიტანა, ამდენ-
შა ცრემლმა დააბრმავა. ვცოცხლობთ, მაგრამ ეს სიცოცხ-
ლე კი არა, წამებაა, წამება. ჩემი დისწული ჩამოვიყვანე,

აქ შევიუგანე სკოლაში. ისაა ახლა ჩვენი პატრონი. ამობრ-
დანდით, დად!



— არა, ვერ ამოვალთ.

— თქვენ თუ შამილის პატივსაცემად ჩამობრძანდით,
დად, გთხოვთ, ამოხვადეთ. მიცვალებულის შესანდობარი
დავლიოთ. — ბადრა კიბეზე პირველი ავიდა. — ამობრძან-
დით, დად, ამობრძანდით! სანამ ჩვენთან მისი ამხანაგები
იცლიან, არაფერი გვიჭირს, ისე ჩავთვლით, თითქოს ის
ცოცხალი გვყავდეს. მობრძანდით, დად, მობრძანდით.

— კაფა, შამილის ამხანაგები მოვიდნენ შენ სანახა-
ვად. წამოჯექი, — კარი შეაღო თუ არა, უთხრა ბადრამ
ცოლს.

რეინის დიდი საწოლი შეინძრა. გალეული ქალი სა-
წოლს ძლიერ აჩნდა.

— რა თქვი? — ავადმყოფმა თავი წამოსწია.

„ღმერთო დამიფარე, როგორ გამხდარა!“ — გაიფიქრა
მზიამ.

— შენი შვილის ამხანაგები შენს სანახავად მოვიდ-
ნენ, ხედავ?

— შამილ, ნან, შამილ... ჩემო დამღუპველო, შამილ, —
მოხუცი საწოლში წამოჯდა.

— ნუ სტირი, — უთხრა ბადრამ.

— ჩემი შვილის ამხანაგები?.. მერე მოდით ახლოს,
ვერ გხედავთ...

მოხუცმა სათითაოდ გულში ჩაიკრა ყველა.

დარბაზი ისეთი დიდი იყო, ცხენი გაჭერდებოდა. ფანჯ-
რები ჩაეკეტათ, სიცივე და სიბნელე გამეფებულიყო. ოთა-
ხის შუაგულში მაგიდაზე დოქი იდგა, თავზე ქინქლების



გუნდი დარიალებდა. ვინ იფიქრებდა, რომ გაზაფხულზე
იყო, ბუნება ყვაოდა. მზიამ ოთახის კედლებს თვალში შოაკე
ლო, მაგრამ შამილის სურათი ვერსად დაინახა.

— კაფა, როგორა ხარ? — ჰყითხა ანამ.

— შვილი დავმარხე და როგორ უნდა ვიყო, ალბათ
ჩეც მალე გაცეცები... აი ეს კაცი მეცოდება თორემ... სულ
მარტო რჩება...

— ჰაიტ, ნუ გეშინია! — უთხრა ბადრამ. — სოხუმში
წავალთ, ექიმები გაგსინჯავენ, მოგარჩენენ.

— თვალის სინათლეს თუ ვინატრებდი, მხოლოდ იმი-
ტომ, რომ მისი სურათისთვის მეცქირა... — კაფამ დამჭე-
ნარი ხელი ბალიშის ქვეშ მოაფათურა და იქიდან შამილის
სურათი გამოიღო.

კაფას ხელი უკანკალებდა.

მზია დაიხარა, კაფას სურათი უკუღმა ეჭირა. ეს
სურათი ალბათ ჭაბუკობის დროს იყო გადაღებული.

— ხელს ვუსვამ, მაგრამ რა, ეს ხომ ქაღალდია... აი,
ჩემი ბიჭუნას თმა... — კაფამ უბიდან ცხვირსახოცში გა-
ხვეული თმა ამოიღო და აკოცა.

ანა ტიროდა. მზია დამზრალ ყვავილს ჰგავდა. ბადრამ
თევზები შემოიტანა და მაგიდაზე დააწყო.

— რატომ არ მოვკედები, რაზე შეწუხდით, — უთხრა
ანამ.

— თითო ჭიქა ღვინო შესვით მისი სულის სახსენებ-
ლად.

ბადრამ ცივი ღომი დაჭრა, ჭიქები ღვინით აავსო და
სტუმრები მაგიდასთან მიიწვია.



— მიირთვით მისი სულის შესანდობარი, ჭიქას წაუქცეული განაცხადი.

სტუმრები მაგიდას მიუსხდნენ. ჭიქას თავი წაუქციეს და განსვენებული მოიგონეს.

ბადრამ ჭიქები შეავსო.

— ღმერთმა აღღევრძელოს, დად, ჩვენი შვილის ამხანაგები. თქვენი მოსვლით ძლიერ გაგვახარეთ, ამ ყურადღებისთვის მადლობას მოგახსენებთ. დიდხანს იცოცხლეთ... — ბადრამ ჭიქა გამოსცალა. ოთახში მთლად ჩამობნელდა. ბადრამ დარაბები გააღო. ოთახში მზის სხივები შემოიჭრა. კაფა შეკრთა.

— არ გააღო... დახურე... ის მზეს ვერ ხედავს. დახურე.

— სანამ სტუმრები აქ არიან, ნუ დავხურავთ.

— გეხვეწები, დახურე... მინდა, ჩემი შვილივით სიბნელეში და სიცივეში ვიწვე... დახურე... დახურე...

ბადრამ დარაბები დახურა. ოთახში კვლავ წყვდიადმა დაისადგურა.

— ასეა, დად, ჩვენ სიბნელეში ვცხოვრობთ, მზე ჩვენს ვის არ ამოდის.

— ატაა!.. — გაისმა პატარას ხმა.

— ერთხელ, როცა ჯერ კიდევ შემეძლო სიარული, სოხუმში...

— მოიცათ, კაფა რაღაცას ამბობს, — შენიშნა ანამ, — კაფა, რას ამბობდი?

— სოხუმში ერთი ბავშვი ვნახე... ბუთხუზა, ხუჭუჭი-თმიანი... სულ შამილის თვალები ჰქონდა. ვერაფრით ვერ დავივიწყე.



— ახლა რამ გაგახსენა? — უთხრა ბადრამ. — უკუდუუზა
რი, ყოველდღე იმ ბავშვზე ლაპარაკობს.

ბადრამ ბავშვი მზიას გამოართვა. — შეხედე, შამილის
ამხანაგის ბავშვია, შენ სანახავად მოვიდა. პატარავ, ბე-
ბიას-სანახავად მოხვედი, ხომ?

— ატაა...

— ბაბუაც ნახე, ხომ?

— ატაა...

— უი, შენ გენაცვალე, შენი ჭირის სანაცვლოდ ვი-
ყო!.. ის პატარაც, სოხუმში რომ ვნახე, სულ ატაა, ატას
გაიძახოდა. მომეცი, მომაწოდე, მოდი ჩემთან, შენი ჭირი-
მე. — კაფას თავსაფარი მხრებზე ჩამოვარდნოდა, ჭაღარა
თმა გაშლოდა, თვალები ჩაცვივნოდა და მიცვალებულივით
გაფითრებულიყო. — მოდი, შენი ჭირიმე, ჩემთან. --
ბავშვს ალბათ შეეშინდა, ბადრას ხელები შემოხვია და
კაფასკენ დამფრთხალი იყურებოდა. — ქვეყანა ხომ არ და-
იტცევა, რომ თავზე ხელი გადავუსვა?

მზია ადგა, ბავშვი ხელში აიყვანა და კაფას
მიუახლოვდა.

— დედა, აი ბავშვი. მიდი, შვილო, ბებიასთან!

კაფამ თავისი დამჭკნარი ხელები გადაუსვა ბავშვს
თავზე, ბავშვმა დედისაკენ გაიწია.

— ნუ გეშინია, შვილო, როგორც მე გამახარე, ისე
ღმერთი შენ გაგახარებს.

შოთერი ეზოში ჩავიდა.

მზია ტიროდა.

ანა წამდაუწუმ მძიმედ ოხრავდა: „მზიას ამ ოჯახში
რა სიხარულის შემოტანა შეეძლო“.

პატარა ატირდა.

— წაიყვანე, ნან, წაიყვანე. მწუხარება ღმერთში გა-
შოროთ. მე ხომ ვტირი და ვტირი, ხელში რასაც ვიღებ,
ისიც ტირის. სიხარულმა სამუდამოდ მიმატოვა, წავიდა...

— რა გატირებს, ეს ხომ შენი ბებიაა, აკოცე ბების! —
აკოცე და კამფეტს მოგცემ. — მზიამ ბავშვი კაფას მისცა-

— ატაა... — თქვა ბავშვმა და თითი კაფასკენ გაიშ-
ვირა.

— შამილ, ეს ბებიაა, ბებია! — უთხრა ანამ.

— რა ჰქვია? — კაფა შეკრთა.

„ნეტა მიწა გამისკდებოდეს და თან ჩამიტანდეს!“ —
გაიფიქრა ანამ.

— კაფა, ბავშვსაც შამილი ჰქვია! — უპასუხა ანამ და
გაწითლდა, შეეშინდა, ვაითუ მზიას ეწყინოსო.

— ყველას თავს შემოვევლე, ვისაც კი ჩემი შვილის
სახელი ჰქვია. ყველას... ყველას... ნან, თქვენ კარგად იც-
ნობდით ჩემს შვილს? — ამოიკვნესა კაფამ.

— როგორ არა, — უპასუხა ანამ.

— შენ?

— მეც ვიცნობდი...

— კარგად იცნობდი?

— კარგად.

— გეხვეწები, მითხარი, უკანასკნელად რომ ნახე, მხი-
არული იყო?

— არა!

— არაო! ნან, ავად იყო, ხომ?

— არა, კარგად იყო.

— მაშ, რა მოუვიდა, არაფერი უთქვამს?



— მითხრა.

— შენ მასთან დაახლოვებული იყავი, ნან, მიზანი გინა ხარ?

— მე... პატივცემულო, მე უსირცხვილო ქალი ვარ, — უპასუხა მზიამ.

— მზია! — უსაყვედურა ანამ.

— რა თქვი?! კარგად ვერ გავიგონე...

— დიახ, მე უსირცხვილო ქალი ვარ.

— მე, ნან, შევიშალე ან დავყრუვდი.

— არა, არ დაყრუებულხართ. თუ არა გჯერათ, აი, ანას ჰეთხეთ. — მზიას ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა, წამოხტა და აიგანზე გავიდა.

— რა თქვა, რა მოხდა? — წამოდგა ბადრაც.

— მზია შამილის საცოლე იყო. ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. მაგრამ თქვენ შერთვის ნება არ მიეცით.

ბადრა შეტორტმანდა, თითქოს ყელში ხელი სტაცესო. უმწეოდ ხელებდაშვებული იდგა როგორც დამნაშავე, რომელიც სამართლიანი მსაჯულის წინაშე აღიარებს თავის დანაშაულს.

— შვილო, ჩემო საწყალო შვილო... ვინც გინდოდა ის მოგეყვანა, ოღონდ კი გეცოცხლა... — მოთქვამდა კაფა.

— უბედური შამილისგან მზიას შვილი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ შეუღლების ნება რომ არ დართეთ, ადგა და... ეპ, რას უწუნებდით... კარგი დიასახლისია... კეთილი, მოყვარული... რაც შამილის სიკვდილი გაიგო, სულ ასე ტირის.

— ვაი ჩემს დღეს! ჯეირანივით ქალია. ეგ მაინც რომ

დამრჩენოდა, არ ვიტყოდი, მთლად უბედური ვარ-მეგრელი
შამილის ცოლმა უკვე დაივიწყა ქმარი...

— ამ ბავშვის მამა სადღაა? — იკითხა კაფამ.

— მოსკოვში...

ამ დროს მზია შემოვიდა. ტირილისაგან თვალები და-
სიებოდა.

— ანა, წავიდეთ.

— კარგი, ნან.

ანა ადგა.

— კაფა, კარგად იყავი.

კაფამ ბავშვი ხელში აიყვანა.

— მოხვალ კიდევ ჩემთან, ნან?

— ჰო, — ბავშვის მაგივრად უპასუხა მზიამ.

— მოხვალ ხომ?

— ჰო...

— დიდხანს იცოცხელე, გენაცვალე, დიდხანს! — კაფამ
ბავშვს თვალები დაუკოცნა.

— მზია, მინდოდა შენთვის რაღაც მეთქვა, მაგრამ, —
დაიწყო გაუბედავად ბადრამ.

— მითხარით!

— ნება მოგვეცი, შენი შამილი ვიშვილოთ.

— ანა, წავიდეთ, — თქვა მზიამ, კაფას ბავშვი ჩამო-
ართვა, მკერდში ჩაიკრა და კიბეზე დაეშვა.

— მაპატიე, დად, მაპატიე...

— გაცმაროთ ღმერთმა ეს უბედურება, — თქვა ანამ
და მზიას უკან მიჰყვა.

ეზო ახლა უფრო მშვენიერი ჩანდა. თითქოს მწვანე ხა-


ლიჩა დაუფენიათო. ხბოები მზეზე ნებივრობდნენ, კატაც
ბალახში გორაობდა და გულს მზეს უფიცხებდა. მიმტების გადასახლის
ჟივილ-ხივილი გაპქონდათ. გაზაფხული ხომ ყველაფერს
აცოცხლებს! ამ კარ-მიდამოში მხოლოდ სახლსა და საფ-
ლავს არ ეტყობოდა სიცოცხლე.

მზიამ სული მოითქვა. თითქოს სახლსა და ეზოს შორის
ათასი კილომეტრიაო, სულ სხვადასხვა სიცოცხლით ცხოვ-
რობდნენ ისინი. „სიცოცხლე კარგია“, — გაუელვა მზიას
თავში, თუმცა თვალზე ცრემლი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა.

სტუმრები ბადრამ ჭიშკრამდე მიაცილა. მზია და ანა
დაუმშვიდობნენ ბადრას და მანქანაში ჩასხდნენ.

მზიამ ბადრას შეხედა. თვალებზე ეტყობოდა, რაღაცა-
ზე ძალიან ღრმად იყო ჩაფიქრებული, რაღაც ძალიან
მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა.

„ადამიანი, როცა მხოლოდ თავისი სიამოვნებისთვის
ცხოვრობს, სხვებს მწუხარებას აყენებს! — ფიქრობდა ბად-
რა. — რა დიდი სიყვარული უნდა ჰქონოდა ამ ქალს, რომ
ახლა აქ მოსულიყო. ჩემი შვილი ჭკვიანი იყო, იცოდა, რო-
გორი ქალი უნდა შეყვარებოდა, იცოდა როგორი რძალი გა-
გვიგებდა, პატივისცემით მოგვექცეოდა, მაგრამ ჩვენ ლაფი
გადავასხით მის ბედნიერებას. ხედავთ, დედა დაუძახა იმ
ქალს, ვინც უსირცხვილო უწოდა. დასტირის იმ კაცს, ვინც
ასე შეარცხვინა. მისი სახელი დაარქვა თავის შვილს... ამ
ქალს სულ სხვანაირი გული ჰქონია, კეთილი, ყოვლისმომ-
ცვლი.

— წავიდეთ? — იკითხა შოთერმა.

— წავიდეთ, — უთხრა მზიამ.

მანქანა დაიძრა.

— აა, — დაიკვენესა მზიამ.

— რა მოგივიდა? — ჰყითხა ანამ.

— გააჩირეთ მანქანა.

— რა გემართება? ღმერთო, შენ მიშველე.

მანქანა გაჩირდა. მზია მანქანიდან გადმოხტა. ანა უკან დაედევნა. „რა უნდა დავიწყებოდა, გულიც რომ დარჩენდა, მაინც არ უნდა გადმომხტარიყო!“ — გაიფიქ-რა შოთერმა.

მზია ბავშვით ხელში ბადრას მიუახლოვდა. ბადრა გაქ-ვავებული იდგა. „დამთანხმდა! გულმა ნება არ მისცა ჩემ-თვის უარი ეთქვა! აბა რაზე დაბრუნდებოდა!“ — ფიქრობდა ბადრა.

— დად, ხომ არაფერი დაგავიწყდა?

— მე თანახმა ვარ... — მზიას სახე გაფითრებოდა.

— შენ უნდა მაპატიო, დად. სანთელი რაა, პატარაა, მაგრამ მთელი სახლის გადაბუგვა შეუძლია. ჩემი თავი სწორედ ასეთი სანთელი მგონია. მაგრამ სახლი რომ დამ-წვეოდა, რა მიშავდა, ახალს ავაშენებდი, მე ორი გული დავწვი... ახლა ყველაფერი ამაოა. მე არ მქონდა უფლება ასეთი მსხვერპლი მეთხოვა შენთვის. პატიებას გთხოვ. მე მაშინ გონებამ კი არა, გულმა გამაბედვინა... ადამიანი თავ-გზას მაშინ კარგავს, როცა გულისთვის აპყვება.

— ჩემი შვილი თქვენი შვილიშვილია! — მშვიდად უთხრა მზიამ, რომელმაც შინაგანი მღელვარება სძლია.

— დად, რაო? რა თქვი? გაიმეორე...

მზია ტიროდა. თითქოს მდინარემ კაშხალი გაარღვიაო, ისე ღვართქაფად ცვიოდა ცრემლები.

— მზია, აბა რას ამბობ, მაშინ ექიმთან...



— ჰო, ანა, მაგრამ შენთვის სიმართლე არ მითქვაშესა
ერთი წელიწადი ვიმაღებოდი, ვითომდა გავთხოვდი. ის
ოფიცერი, რომელთანაც ერთად გავემგზავრე მოსკოვში,
ჩემი ამხანაგის ქმარია. იმათთან ვცხოვრობდი. თავს ვარი-
დებდი ბოროტ ენებს, ვუფრთხილდებოდი ჩემს პატიოსნე-
ბას, ჩემი ბავშვის სახელს.

— ჩემი შვილიშვილი! — ბადრას სახე გაუნათდა,
შათრახებივით დაშვებულმა ხელებმა ძალა იგრძნეს, დაღ-
ლილი, დაწითლებული თვალები გაუბრწყინდა.

მზია კვლავ იმდუღრებოდა.

— ჩემი შვილი, ჩემი შვილიშვილი! — კიდევ და კიდევ
იმეორებდა იგი, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა, თითქოს
ფეხები მოწყვეტოდა. — ჰეი, ჩემო მოხუცო! — დაიყვირა
ბადრამ, შამილს ხელი დაავლო და მკერდში ჩაიკრა, —
შენი ჭირი, შენი კვნესა, შენი სატკივარი ჩვენ შეგვეყა-
როს, დად, ჩვენ... — ბადრამ მზიას ხელი მოჰვია და პა-
ტარა ბავშვივით ატირდა.

— ნუ ტირით, ნუ, არ ვარგა. ნუ ტირით, ბავშვი შეშინ-
დება, — გაიძახოდა თვალცრემლიანი ანა.

— ვგრძნობდი, რომ რაღაც სასიხარულო მელოდა...
მაგრამ... მაგრამ... — მას რაღაცის თქმა უნდოდა... — ო,
წყეულიმც იყოს ჩვენი ზნე-ჩვეულება! — ამით თქვა ყვე-
ლაფერი, რითაც მზიას წინაშე თავის გამართლება უნ-
დოდა.

୩୧୯୦୩୦

ଚାନ୍ଦୁ

ତାରଗମିନୀ ଥ.	୧୬୩ ଲ୍ଲିଙ୍ଗ ରୂପାନ୍ତମା	5
ପଞ୍ଜିଙ୍ଗ		
ତାରଗମିନୀ ଥ.	ଠିକ୍‌ରୂପାନ୍ତମା ଲ୍ଲିଙ୍ଗ ରୂପାନ୍ତମା	17



Чкадуа Шота Евгениевич
НАНДУ
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1968

რედაქტორი ნ. ჩირაძე
მხატვრები ლ. დუნდუა, თ. ჭიშკარიანი
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტიქტორედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი ი. უშვილიძე

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII-68 წ.
ქაღალდის ზომა $70 \times 108\frac{1}{32}$
ნაბეჭდი თაბაზი 2,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 2,65
უ 00295 ტირაჟი 5000 შეკვ. № 4267
ფასი 15 ქაპ.

*

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სი-
ტყვების სახელმწიფო კომიტეტის მთავარპილიგრაფ-
მრეწველობის სტამბა № 2, „ნაკადული“, თბილისი,
ფურცელაძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпро-
ма Государственного Комитета Совета Минист-
ров Грузинской ССР по печати, Тбилиси,
ул. Пурцеладзе № 5

291/249

ଓଡ଼ିଆ
ପ୍ରକାଶନ
କେନ୍ଦ୍ରୀୟ ମୁଦ୍ରଣ